რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 27 აპრილი 1917 წ.

ერთობა

ფასი 7 კაპ.

„თანამედროვე აზრის“ გაგრძელება.

გაზეთი ღირს: მთელი წლით—15 მ., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით 4 მან. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება ორ საათამდე 5 მანეთი ხოლო ორის შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალა რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ—მოწერას კისრულობს

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Бохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлис Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 33 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 33

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციისაგან.

ვთხოვთ ყველა პროფესიონალურ ორგანიზაციებს, მუშათა კოოპერატივებს, კლუბებს და სხვ. მოგვაწოდონ თავიანთ სხდომების ოქმები, გამგეობის დადგენილებები და სხვა საყურადღებო მასალები გაზეთში მოსათავსებლათ.

სამშაბათს, 2 მაისს 1917 წ. საღამოს ექვს საათზე, არტისტიული საზოგადოების საზაფხულო შენობაში (მიხეილის ქუჩა) დანიშნულია თფილისის სოციალდემოკრატიული ორგანიზაციის

მეორე რაიონის წევრთა საერთო კრება

(8, 9 და 10 უბნები და ტრამვაი), რომელზედაც დაშვებულ იქნებიან უკვე ჩაწერილი წევრები პარტიისა. ვთხოვთ ამხანაგებს იქონიონ თან საწევრო ბარათები ან კვიტანციები და კრებაზე დანიშნულ დროს გამოცხადდენ.

სახაზინო თეატრი.

ხუთშაბათს, 27 აპრილს შესდგება

კონცერტი,

რომელშიდაც მონაწილეობას მიიღებენ ა. ს. ვოლ ლევიცკაია, ე. გუზიკოვი (სკრიპკა), პიანისტები: ა. ზეილიგერი, გ. ნეიგაუზი და ლევ პიშნოვი, თ. პოლიაევი (გალობა).

პროგრამაში—ნაწარმოები მოცარტისა, გრიგისა, სენ სანსისა, მუსორგსკისა, რახმანინოვისა, რიმსკი-კორსაკოვისა და ჩაიკოვსკისა.

დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე.

მთელი შემოსავალი კონცერტიდან გადაეცემა თფილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს. 2—2

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА

„Извѣстія совѣтовъ рабочихъ и солд. депутатовъ г. Тифлиса“

Подписная плата: на одинъ мѣсяцъ—1 р. 50 к., 2 м.—3 р.; 3 м. 4 р. 50 коп. Адресъ редакціи: Тифлисъ. Дворецъ.

კავკასიის ოლქის საინტენდანტო მართველობა

იწვევს იმ პირთ, რომელთაც შეუძლიათ დამზადება თეთრეულისა ჯარის-კაცებისათვის პარტიობით არა ნაკლებ 25,000 წყვილი საცვლებისა, სახაზინო მასალისაგან (მიტკლისა და ნარმისაგან), მხოლოდ გასაწყობი უნდა დაურთოს მოიჯარადრემ თანახმად არსებული პირობებისა და აწერილობისა. ვისაც სურს მიიღოს აღნიშნული იჯარა, უნდა წარმოადგინონ განცხადება საინტენდანტოს სამართველოში წერილობით ანუ დეპეშით ა. ა. წლის 15 მაისამდე რომელშიაც უნდა იყოს აღნიშნული თუ რამდენი წყვილი საცვლის გაკეთებას კისრულობს, რა ვადაში და ფასში შეუძლია გაკეთება და აგრეთვე თავის სწორი მისამართი.

პირობების აწერილობის და ნიმუშების ნახვა შეიძლება ყოველ დღე სამუშაო საათების დროს საოლქო საინტენდანტოს სამართველოში, ნიკოლოზის ქუჩა № 51, ქალაქ გარეთ მცხოვრებ მოიჯარადრეთ შეუძლიათ მოითხოვონ პირობებისა და ნიმუშების გაგზავნა; ამისათვის საჭიროა მათ თავიანთი მისამართი გამოგზავნონ. 3—2

ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირი.

აპრილის 30 ს, 1917 წ., ახალი კლუბის შენობაში დანიშნულია ქართული თეატრის მსახიობთა ყრილობა

საპროფესიო კავშირის დასაარსებლად.

სხვა ქალაქებში მყოფ ქართველ მსახიობთ, რომელთაც ოდესმე უმსახურნიათ ან ეხლა მსახურებენ ქართულ თეატრში, ვთხოვთ ამ დღისათვის მიუცილებლათ ჩამობრძანდენ ქ. თბილისს. ყრილობა დაიწყება დილის 11 საათზე.

რჩეულნი: ანდრონიკაშვილი კ., დადიანი შალვა, შალიკაშვილი ვალ.

ამხანაგ მუშა ფარმაცევტთა საყურადღებოთ.

დროებითი გამგეობა მუშა ფარმაცევტთა პროფესიონალური კავშირისა ქ. თფილისში ამით უცხადებს მთელი კავკასიის ამხანაგებს, რომ მას არაფერი საერთო არ აქვს კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოებასთან. (Кавказское общество фармацевтовъ) და სთხოვს ყველა ამხანაგებს ყოველგვარი შეკითხვით, რაც ეხება მოსამსახურე ფარმაცევტთა პროფესიონალურ კავშირს, მიმართონ შემდეგი მისამართით: Тифлисъ, Земскій Союзъ, бухгалтерскій столъ. Михаиловская ул. 91. Ф. Цхомелидзе.

დროებითი გამგეობა პროფესიონალური კავშირისა. (2—2)

კახეთის კავშირი წვრილი კრედიტის ამხანაგობებისა

ამით აცხადებს, რომ 30 აპრილს დილის 10 საათზე ქ. თელავში დანიშნულია

წლიური კრება კავშირისა.

ექიმი გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორრად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.

ენიცვის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

ექიმი ივანე თიკანაძე

დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი-კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

ქ უ თ ა ი ს ი

ექიმ გ. ი. გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 ღ. საათამდე

დამფუძნებელი კრება.

უკანასკნელი ცნობებით დამფუძნებელი კრების მოწვევა დაახლოვებით ამ წლის ოქტომბერში მოხდება.

შეიძლება ამაზე შორსაც გადაიდვას, ვინაიდან ჯერ საარჩევნო კანონიც კი არ არის გამოქვეყნებული. ეს დიდი პოლიტიკური შეცდომაა.

დემოკრატიის ერთი მთავარი მოთხოვნილებანი იმთავითვე იყო—დაუყოვნებლივ დამფუძნებელი კრების მოწვევა. ამას უკარნახებდა მას საღი რევოლიუციონური ინსტიქტი და სწორი პოლიტიკური წინდახედულობა.

დღევანდელი დრო—გარდამავალი ხანაა. გარდამავალი ხანა კი მუდამ სავსეა მღელვარებით, საზოგადოებრივ ძალთა შეჯახებებით, მოქალაქობრივი ომის გამწვავებით. საზოგადოების მიერ არჩეული და მისი უმრავლესობის ნდობა სურვილზე მკვიდრათ დაყრდნობილ მართველობა დღეს არ მოგვეპოვება.

დროებითი მთავრობა, რომელიც რუსეთის ბედს განაგებს, შედეგია არა არჩევნების, არამედ რევოლიუციურ ძალთა შეთანხმების, პირველ ყოვლისა პეტროგრადში. იგი ეყრდნობა მხოლოდ ნდობას, რომელსაც მას რევოლიუციური ხალხი და მათი ორგანიზაციები უცხადებენ. „ნდობა“ კი დამოკიდებულია აზრთა და ინტერესთა თანხმობაზე.

მარა განა შეიძლება კლასობრივ საზოგადოებაში აზრთა და ინტერესთა თანხმობა არსებობდეს? და აი საქმისია ახალი ნაბიჯი მთავრობის, ახალი მოთხოვნილება ამა თუ იმ საზოგადოებრივი ჯგუფისა, რომ მის გარშემო ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდეს.

ვინ გადაწყვეტს სადაო კითხვას? როგორ უნდა გადაწყდეს ის?

ამაზე ავტორიტეტული პასუხის მოცემა შეუძლია მხოლოდ საკანონმდებლო წარმომადგენლობით ორგანოს, ხალხის მიერ არჩეულ დეპუტატთა კრებას. სანამ ასეთი ორგანო არ არსებობს—გადამწყვეტი ასპარეზი ქუჩაა—საშუალება კი მოქალაქობრივი ომია. ვინც ამ ომიდან გამარჯვებული გამოვა, სიმართლეც მის მხარეზეა. ძალა აქ პირდაპირ იქცევა კანონათ. მარა ყოველთვის საქმის ძალაზე მიგდება—ეს გამუდმებული არევ-დარევის გაბატონებაა. მაგალითისთვის შორს არ წავალთ. გაიხსენეთ თუნდ უკანასკნელი ნოტის ისტორია პეტროგრადში, რომელმაც შეხეთქება გამოიწვია და კინაღამ საერთო სისხლის ღვრათ იქცა.

მხოლოდ მუშათა და სალდათთა საბჭოს პოლიტიკურმა გამჭრიახობამ და ტაქტიკამ იხსნა პეტროგრადი მოქალაქობრივ ომისაგან, კონფლიქტის დემოკრატიის სასარგებლოთ გადაჭრას ხელი შეუწყო. მარა ასეთი შემთხვევები შეიძლება ყოველ დღე განმეორდეს. ასაფეთქებელი მასალა ბევრია დაგროვილი. ლენინის მიმდევართ ასეთი მოქალაქობრივი ომი სასურველათ მიაჩნიათ. პირველი ლოზუნგი, რომლითაც ლენინმა ფეხი შესდგა პეტროგრადში იყო: „გაუმარჯოს მოქალაქობრივ ომს“. მარა დემოკრატია ამ გზას ვერ გაჰყვება.

მოქალაქობრივი ომი უკიდურესი ზომაა, რომლის წარამარა წამოყენება და ყოველდღიურ მოვლენათ გადაქცევა—რევოლიუციის დამღუპველ ავანტიურათ უნდა ჩაითვალოს. მით უმეტეს ავანტიურაა იგი რუსეთში დღევანდელ მომენტში, ამით შეუძლიათ სარგებლობა რეაქციონურ ძალებს ანარქიის გასამეფებლათ და ასე რევოლიუციის სახელის გასატეხათ; ცხადია დემოკრატიისთვის იგი მიუღებელია.

დღევანდელი გარდამავალი ხანა, როგორც ვთქვით ასეთ გამოსვლებისთვის მეტათ ხელსაყრელ ნიადაგს წარმოადგენს. მით უმეტეს, რომ ძველმა რეჟიმმა მრავალი მწვავე სოციალისტური საკითხი დაგვიტოვა, რომელიც დაუყონებლივ პასუხს მოითხოვენ. ასეთია საკითხი აგრარული, ეროვნული და ათასი სხვა.

მათი დაჩქარებით და სისწორით გადაჭრა აუცილებელი მოთხოვნილებაა რევოლიუციის საკეთილოთ დასაგვირგვინებლათ. წინაამდეგ შემთხვევაში რუსეთის მასსის შეკავება ექსცესებისაგან მეტათ ძნელი იქნება. პროვოკაციულ გამოსვლებს ამ ნიადაგზე ფართო ასპარეზი მიეცემა. მოთმინებიდან გამოსული ხალხი ანკესზე ადვილათ წამოეგება, მათ ანკესზე, ვინც დაინტერესებულია მასში არევ დარევის შეტანაში.

ყველა ამ კითხვების მოწესრიგება და ავტორიტეტული გადაჭრა, სისწორით და სამართლიანათ, შეუძლია მხოლოდ დამფუძნებელ კრებას ხალხის მიერ არჩეულს და მისი სრული ნდობით აღჭურვილს.

ცხადია მისი მოწვევის დაგვიანება—რევოლიუციურ მოძრაობას დიდ საფრთხეს უმზადებს და ამით კონტრ-რევოლიუციის შანსებს აძლიერებს.

გარდამავალი ხანის მინიმუმამდე დაყვანა, მისი რაც შეიძლება შემოკლება—დემოკრატიის პირდაპირი ინტერესია. სწორეთ ეს იყო მიზეზი, რომ მუშათა და სალდათთა საბჭომ პეტროგრადში თავის უმთავრეს მოთხოვნათ დამფუძნებელ კრების დაუყონებლივ მოწვევა წამოაყენა. მისი აზრით დამფუძნებელი კრების მოწვევა—ზაფხულს არ უნდა გადასცილებოდა.

დღეს ეს ვადა უკვე გადაცილებულია.

არჩევნებში ფრონტის მიერ მონაწილეობის მიღების საჭიროებით და ამ მონაწილეობის მოწყობის სიძნელით თავს ვერავინ იმართლებს. ფრონტმა შესძლო სიეზდების მოწვევა, თვით პირველ რიგის ბრძოლის ხაზ დან ც კი, ცხადია იგი შესძლებს არჩევნებშიაც მონაწილეობის მიღებას.

ამიტომ ჩვენი ლოზუნგია: დაუყონებლივ მოწვევა დამფუძნებელ კრების. ეს მოთხოვნილება უნდა წააყენოს მთავრობას რევოლიუციურმა დემოკრატიამ.

აგრარული საკითხის გარშემო.

დროებითმა მთავრობამ აგრარული საკითხის შესახებ ახალი განკარგულება გამოსცა. მან შეადგინა მიწის საკითხის წინასწარ განსახილველათ მთავარი, საგუბერნიო, სამაზრო და სასოფლო კომიტეტები. უკანასკნელები ადგილობრივათ შეკრებილ შეგროვებულ მასალებს მთავარ კომიტეტს წარუდგენენ, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ სახელმწიფო დუმის დროებითი კომიტეტის, პოლიტიკური პარტიების, სრულიად რუსეთის კოოპერატიული კავშირის, საგუბერნიო და სამაზრო საგლეხო კომიტეტის წარმომადგენლები და დროებითი მთავრობის მიერ დასახელებული გამოცდილი პირები. მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება კითხვის ყოველმხრივ გაშუქება, მისი ყოველმხრივ აწონ-დაწონა და შემდეგ გადასაჭრელათ დამფუძნებელ კრებაზე წარდგენა. დროებით მთავრობის მიერ არჩეული გზა საზოგადოთ უახლოვდება დემოკრატიის მოთხოვნილებას. ახლა რუსეთის სახელმწიფოს მცხოვრებთ საშუალება ეძლევათ მთავარ საჭირბოროტო საკითხის საქმეში თვითონ მიიღონ მონაწილეობა და ადგილობრივ შეკრიბონ შესაფერი მასალა.

მიწის საკითხის მოწესრიგება რუსეთში უდიდეს როლს თამაშობს. მცხოვრებთა უდიდესი ნაწილი სახელდობრ 80 პროცენტი, სოფლათ ცხოვრობს და სასოფლო მეურნეობით ირჩენს თავს. სახელმწიფოს ეკონომიურ ცხოვრებაში მეურნეობა დღევანდლამდის უდიდეს როლს თამაშობს და სახალხო ეკონომიაში შემოსავლის მთავარ წყაროთ ითვლება. ევროპაში ეკონომიური ცხოვრების უდიდეს დარგათ მრეწველობა-ვაჭრობა ითვლება. აქ კი პირიქით სასოფლო მეურნეობა.

მარა მცხოვრებთა უმრავლესობა, გლეხთა თითქმის 73 პროცენტი საკმაო მიწას მოკლებულია. ადგილ-მამულის დიდი ნაწილი სახელმწიფოს, საუფლისწულო და საკაბინეტო უწყებათა, მინისტრებისა და მსხვილ მემამულე თავად-აზნაურთა ხელშია. უვარგის სოციალურ-პოლიტიკური პირობების გამო, მიწიათნობით დესეტინა უმცირესობის ხელში მოგროვდა, ხოლო გლეხკაცობა პირში ჩალა გამოვლებული რჩება. მიწის სიმცირის გამო გლეხები დიდი მამულების პატრონებიდან იჯარით მიწას ღებულობენ და მთელი მათი შემოსავლის დიდი ნაწილი რენტის და იჯარის სახით მამულის პატრონთა ჯიბეში ჩადიოდა. ასეთ პირობებში რუსეთის სასოფლო მეურნეობის მთავარი დარგი—გლეხთა მეურნეობა რაც დრო გადიოდა უკან მიექანებოდა. თავის თავად საგულისხმოა, რომ მეურნეობა—ეს უმთავრესი დარგი უდიდეს კრიზისს განიცდიდა.

ამ საკითხს რუსეთის რევოლიუციონური ხალხი მთელი საუკუნის განმავლობაში უტრიალებდა და მის ასე თუ ისე გადაჭრას მოითხოვდა. მაგრამ პოლიტიკური პირობების გამო იგი პრაქტიკულათ არ დასმულა. დღეს როცა ძალთაგანწყობილება დემოკრატიის სასარგებლოთ შეიცვალა, როცა პოლიტიკური ცხოვრების მეთაურათ მუშათა კლასი და რევოლიუციონური ჯარი გამოვიდა, მიწის საკითხი მთელი თავისი სიგრძე სიგანით წამოდგა და მისი გადაწყვეტა დღიურ წესრიგში ისმება. მოხდა ის, რასაც სოციალდემოკრატიული პარტია მოითხოვდა. მიწის კომიტეტების შედგენა პირველი სერიოზული ნაბიჯია აგრარული საკითხის გადასაჭრელათ. ეს შეიძლება მხოლოდ საერთო გზით, დამფუძნებელ კრებაზე. რომ ის გლეხობის სასარგებლოთ გადაიჭრას, საჭიროა დამფუძნებელ კრებაზე დემოკრატიის ინტერესების ერთგულ დამცველთა გაგზავნა.

ღია წერილი თფილისის მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოსადმი.

მსოფლიო ომის საშინელებამ მილიონობით ხალხი მსხვერპლათ შეიწირა, მილიონობით ხალხი ჩვეულებრივ სამუშაოს ჩამოაშორა და უკანასკნელები ან ბრძოლის ველზე, ან და მტრის სახელმწიფოებში სრულიათ უნაყოფო არსებობას აწრამოებენ. ასეთ უნაყოფო და სიზიფის შრომის მსხვერპლათ ავსტრიის სახელმწიფოს ცნობილი სოციალდემოკრატი და მეცნიერი ოტო ბაუერიც შეიქნა.

ავსტრია-რუსეთის თითქმის პირველ შეტაკების დროსვე ოტო ბაუერი რუსეთის მხედრობას ტყვეთ ჩაუვარდა. იგი—როგორც სათადარიგო ჯარის „პრაპორშჩიკი“—ჯარში იქნა გაწვეული და უკვე 1914 წელსვე თავის საყვარელ სამუშაოს ჩამოშორდა. დიდ ხნობამდის არ იცოდენ—თუ ოტო ბაუერს რა ბედი ეწია. ბოლოს გამოირკვა, რომ იგი ტყვეთ წაეყვანათ და რუსეთის შორეულ ციმბირის მიდამოებში იმყოფებოდა, შემდეგში იგი, როგორც რუსეთის გაზეთები იუწყებოდენ თურქესტანში გადაეყვანათ და ვგონებთ დღემდის იქ იმყოფება.

ოტო ბაუერს—საერთაშორისო პროლეტარიატის თეორეტიკთა შორის მეტათ სათვალსაჩინო როლი ეკავა. მან სოციალდემოკრატიული ლიტერატურა მრავალი მეცნიერული გამოკვლევით გაამდიდრა, ბევრი საფუძვლიანი წერილები და წიგნები დაუწერია ეკონომიური საკითხების შესახებ. განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის ნაციონალური კითხვის მარქსისტული თვალსაზრისით განხილვაში. მან დასწერა ცნობილი კაპიტალური შრომა: „ნაციონალური საკითხი და სოციალდემოკრატია“, რომელიც პარტიულ ლიტერატურაში შეუდარებელ წიგნათ ითვლება. დასახელებული წიგნის მერე მან სპეციალურათ შეისწავლა რუსეთისა და ავსტრიის სლავიანთა და სხვა ერების ისტორიული და აწ ყო მდგომარეობა და ამ კითხვის შესახებაც მან საფუძვლიანი შრომა გამოაქვეყნა. ამ შრომაში იგი სხვათა შორის სომეხ-ქართველთა შორის დამოკიდებულებასაც ეხება და თავისებური სისწორით აშუქებს. უკანასკნელი შრომის პირნათლათ შესრულების გამო ოტო ბაუერმა ყველა სლავიანური ენები შეისწავლა—მათ შორის რუსული ენა და რუსულ ენაზე შეუდგა მრავალი მასალების გაცნობას.

გარდა ზევით დასახელებულ შრომებისა ოტო ბაუერი ავსტრიის სოციალდემოკრატიული თვიური ჟურნალ „კამფის“ (ბრძოლა) შეფ-რედაქტორი იყო და იგი ხშირათ ნაციონალური კითხვის სხვადასხვა მხარეებზე საფუძვლიან წერილებს სწერდა. ერთი სიტყვით ოტო ბაუერმა, როგორც კაუცკი ამბობს—მთელი ნაციონალური საკითხი მარქსისტულ ისტორიული მატერიალიზმის თვალსაზრით პირველათ მან გააშუქა და ამ დარგში შეუდარებელი ღვაწლი მიუძღვის.

და აი ასეთი პარტიული მეცნიერი სადღაც მივარდნილ კუთხეში იმყოფება და მისი მეცნიერული ცოდნა დაუშრეტელი ენერგია უნაყოფოთ იკარგება.

სასურველია, თფილისის მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭომ პეტროგრადის მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს შესაფერ წინადადებით მიმართონ, რათა ოტო ბაუერი ტყვეობის პირობებიდან განთავისუფლდეს და მით მას საშუალება მიეცეს კვლავ მეცნიერული შრომის გაგრძობას შეუდგეს. ყველაზე უკეთესი საშუალება იქნება იგი—ბაუერი რუსეთის ისეთ კუთხეში იქნას დასახლებული—სახელდობრ კავკასიაში, სადაც ეროვნული საკითხის გარშემო მთელი ალიაქოთია ატეხილი და იგი თავის გამოკვლევა გაშუქებით, მოხსენება ლექციებით ნაციონალურ საკითხში მეტ სინათლეს შეიტანდა.

საჭიროა დაუყონებლივი ზომების მიღება.

შვარცი.

ქალაქის სამეფო.

(„ხლებ არმია“).

(გაგრძელება)

მარტის პირველ რიცხვებში მოხდა „ხლებ არმიის“ რეორგანიზაცია და „ხლებ არმიამ“ დაიწყო მოქმედება „დამოუკიდებლათ“. ამასთანავე არჩეულ იქნა ყუბანის ოლქის სასურსათო კომიტეტი, რომელშიაც შედიან წარმომადგენელნი ქ. ეკატერინოდარის თვითმართველობისა, ყუბანის საკრედიტო დაწესებულებათა კავშირისა, მემამულეთა კავშირისა, მუშათა საბჭოსი და სხვა... ჩვენ გვეგონა, რომ ამის შემდეგ საქმე გამოსწორდებოდა და „ხლებ არმია“ პირნათლათ შეასრულებდა თავის მოვალეობას, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. პირველი შეხედვით თითქო „ხლებ არმიაში“ გაცხარებული მუშაობა სწარმოებს, ყველა რაღაცას ჩაკირკიტებს და ვითომ საქმესაც აკეთებს, მაგრამ ეს მხოლოდ პირველი შეხედვით. ნამდვილათ კი აქაც ისეთივე „კანცე-

ქვრივი სოფიო ასული ნაფეტვარიძის გოგაძე და შვილები მისი რაჟდენ, ტროფიმე, ვასილი და ქეთო ვაუწყებთ ნაცნობებს და ნათესავებს გარდაცვალებას ქ. ბაქოში

სპირიდონ როსაფის ძე გოგაძისას

წაასვენებენ სამტრედიის სადგურში და იქიდან სოფელ შანაიაში დაგრძალვა ხუთშაბათს, 27 აპრილს ქედის ეკლესიაზე დილის ათ საათზე.

ლიარშჩინაა“ გამეფებული, როგორც ეს იყო ყველგან ძველი რეჟიმის დროს. სულ უბრალო „სპრავკის“ გულისთვის ხან სად გიკრავენ თავს და ხან სად. ჯერ კარგათ გაწამებენ და მერმე გეტყვიან: ხვალ მოდით. მიდიხარ ხვალ, ზეგ, მაზეგ და საქმე კი ისევ იმ ალაგას არის გაჩერებული. ეს სიტყვები რომ ვისმეს გადაჭარბებული არ ეჩვენოს, მე მინდა რამდენიმე მაგალითი მოვიყვანო. მარტის პირველ რიცხვებში, როდესაც მოხდა „ხლებ არმიის“ „რეორგანიზაცია“ (ქაღალდზე რასაკვირველია) თფილისის და ქუთაისის გუბერნიის წარმომადგენლებმა შემდეგი განცხადება შეიტანეს „ხლებ არმიაში“: ჩვენ ყველანი მხარს ვუჭერთ „ხლებ არმიის“ რეორგანიზაციას, მაგრამ ვთხოვთ ამასთანავე ნება მოგვცეთ გავიტანოთ ამიერ-კავკასიაში ის ფქვილი, რომელიც ნაყიდი გვაქვს 1 მარტამდის. „ხლებ არმიის“ მესვეურებმა (მაშინ სათავეში ბ-ნი გოლუბნიჩენკო იდგა) მოგვცეს ლიკვიდაციის ნება და მოგვთხოვეს ნაყიდ ფქვილების სია. ჩვენც წარვადგინეთ ეს სია, რომელზედაც ხელი მოაწერა ბ-მა გოლუბნიჩენკომ. ჩვენ გვეგონა, რომ ეს დადგენილება ცხოვრებაში იქნება მალე გატარებული, მაგრამ კანცელიარია რის კანცელიარია, თუ არ დაიგვიანა. ბ-ნი გოლუბნიჩენკო წავიდა და მოვიდა ბ-ნი დანილევსკი თავის „ახალი ნებით“. მისი განკარგულებით ყველა ნაყიდი ფქვილი უნდა გადაეცეს აგენტს. ეს უკანასკნელი ადგენს ოქმს და ფქვილის ნიმუშთან ერთად გზავნის „ხლებ არმიაში“. აქ ფქვილს უკეთებენ ანალიზს და შემდეგ აძლევს მას ამა თუ იმ მარშრუტს. როგორც ხედავთ ეს მთელი პროცედურაა, რომელიც ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილებდა. ჩვენ ვუთხარით, რომ ეს „ხლებ არმიის“ მესვეურების წესი უნდა გავრცელდეს ახლათ ნაყიდ ფქვილზე და ვთხოვეთ 4 მარტამდის ნაყიდი ფქვილი ძველი წესით, უანალიზოთ გაეგზავნათ ამიერ-კავკასიაში. მათ ამის თანხმობა განაცხადეს საჯაროთ. მაგრამ ფქვილი კი რაღაც სასწაულმოქმედებით დღესაც სადგურებზეა გაჩერებული. მიდიხარ, ეხვეწები, ემუდარები, რომ საბ. უფროს დეპეშა მისცენ, მაგრამ კანცელარიის მოხელე ამაყათ გიპასუხებს: **Сдавайте муку нашему агенту!** როდესაც აგონებ მას ძველ დადგენილებას, ის მაინც ყურებს არ იბერტყავს და თავისას გაიძახის. უყურებ „ჩინოვნიკების“ არმიას (მოსამსახურენი „ხლებ არმიაში“ 200 კაცამდეა!), გესმის მათი კალმის წრიპინი, ქაღალდების ბეჯითი გადაშლა, რემინგტონების ჩხარა-ჩხური და გული ბოღმით გევსება. ვინ იცის, რა ტანჯვას განიცდის იქ მშიერი ხალხი, რას ფიქრობენ ისინი, ვინც ჩვენ აქ გამოგვგზავნა. გინდა მიაფურთხო ამ მართლა ქაღალდის კაცებს და გამოსწიო სახლისკენ, მაგრამ შიმშილი... მისი საშინელი აჩრდილი თავმოყვარეობასაც-კი გაკარგვინებს. რას იზამ, უნდა აასრულო ბრძანება და ფქვილი აგენტს ჩააბარო. მიდიხარ აგენტთან. მე თქვენ ფქვილს ვერ ჩავიბარებ, გეუბნებათ იგი, რადგანაც ის სადგური, სადაც თქვენ ფქვილი გიწყვიათ, ჩემს „რაიონში“ არ შედის. წადით სტავროპოლში! მიდიხართ სტავროპოლში. იქ გეუბნებიან, რომ შენი სადგური თერგის ოლქს ეკუთვნის. თერგიდანაც გამოგისტუმრებენ და ისევ ეკატერინოდარში ამოჰყოფ თავს. ასეთი perpetum mobile არა ერთსა და ორს გადახდია. რათ ხდება ასე? იმიტომ რომ „ხლებ არმია“ ქაღალდის სამეფოა. სანთლით რომ ეძებოთ, თქვენ აქ საქმის კაცს ვერ შეხვდებით, ქაღალდის კაცებს კი რამდენიც გინდათ!... ეხლა წავიდეთ ქვევით. ვთქვათ, აგენტმა თქვენი ფქვილი ჩაიბარა და აგისრულათ გულის წადილი. თქვენ მაინც გარანტია არა გაქვთ, რომ ის დანიშნულებისამებრ წავა. იმ დღეს ერთ ვაგონ ფქვილს, რომელიც გორში უნდა წასულიყო, სამარკანდში ამოაყოფინეს თავი. წარმომადგენელი გულგახეთქილი მივიდა „ხლებ არმიაში“ და ორი დღის ხვეწნა-მუდარის შემდეგ გაგზავნა სხვა ფქვილი დანიშნულებისამებრ. აი კიდევ მცირე მაგალითი. თელავის წარმომადგენელს „ხლებ არმიამ“ ნება მისცა სადგურ ს—ზე ათი ვაგონი ფქვილის გამოტანისა. მას ეს ფქვილი სტ. პავლოვსკაიაში ჰქონდა ნაყიდი. როდესაც მან მოისურვა ამ ფქვილის გამოტანა, მას წინაღუდგა ადგილობრივი აგენტი. წარმომადგენელი მიდის „ხლებ არმიაში“ და სთხოვს მოხელეს, რომ მან აგენტს დეპეშა გაუგზავნოს. არ შეიძლება!—მკვახეთ უპასუხებს იგი. მაშ თქვენ აგენტს როგორ ჩავაბარო ფქვილი, თუ მეორე აგენტი გამოტანის ნებას არ მომცემს?—ეკითხება წარმომადგენელი. როგორც გინდა! უპასუხებს იგი... იმ დღეს ერთი კაცი ჩიოდა „ხლებ არმიას“ რამდენიმე ფუთი ფქვილი ვაჩუქე და ვერ მოუხერხებიათ, რომ ჩაიბარონო. სადგურ ნაზრანზე დალპა 40 000 ფუთი სიმინდი, რომელიც „ხლებ არმიამ“ დროზე ვერ გაიტანა. შავი ზღვის რკინის გზის ერთ სადგურზე ეს ორი წელიწადია ყრია რამდენიმე ვაგონი ფქვილი, რომელსაც „ხლებ არმიამ“ რეკვიზიცია უყო. მაგრამ „ხლებ არმიას“ არსად მიაქვს ეს ფქვილი და ელის, როდის დალპება იგი... ამას ინედ „ხლებარმიას“ ჩავაბარე 15 ვაგონი ფქვილი, რომელიც ნაყიდი მქონდა გორის მაზრის კოოპერატივებისთვის. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ „ანალიზის“ შემდეგ ხლებარმია ფქვილს დაუყონებლივ გაგზავნიდა დანიშნულებისამებრ და ამით გათავდებოდა საქმე. მაგრამ ხლებარმიის კანცელარშჩინამ კვლავ გამოყო თავი ჩემ მიერ ნაყიდ ფქვილში ხლებარმია გამისწორდა მტკიცე ფასებში და ჩემივე ფქვილი ხელმეორეთ მაყიდინეს. ამ კომედიამ გასტანა რამდენიმე დღე. როდესაც ხლებარმიის მოხელეს შევეკითხე, თუ რათ სჩადიან ამას, მან მკვახეთ მიპასუხა: ამას ბუჰალტერიის წესი მოითხოვსო. მაგრამ ჩემ გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ანგარიშების გასწორების დროს ხლებარმიამ თითო ვაგონზე ექვსი თუმანი გადამახდევინა. ამას რაღა მოითხოვს მეთქი—შევეკითხე მოხელეს. ეს საექსპედიციო ხარჯებიაო!—მიპასუხა მან წარბშეუხრელათ. მე შემეშინდა, რომ ხლებარმიაში ფინჯანიც არ გაეხადნათ ჩემთვის და მალე გამოვტრიალდი. აშკარაა, რომ ხლებარმია აქ ერთი დაკვრით ორ კურდღელს ჰკლავს: ერთი მხრივ წარმომადგენლის მიერ ნაყიდ ფქვილს ითვისებს და თავის აქტივში სწერს და მეორეს მხრივ ამ მითვისების დროს ფულსაც იძენს. აი ამას ქვიან ხლებარმიის ბუხჰალტერია!..

ერთი სიტყვით, სადაც გაიხედავ, ყველგან ნახავ დეზორგანიზაციას, ანარქიას და უთავობას.

შეიძლება კი საქმის მოწყობა? ამაზე შემდეგ.

დ. ონიაშვილი.

(დასასრული იქნება).

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ.)

თავისუფლების სესხი.

მოსკოვი. 24 აპრილი. სკობელევის მოედანზე გუშინ საღამოს დიდი მიტინგი გაიმართა, რომელზედაც მოაგროვეს შემოწირულებანი დროებითი მთავრობის თავისუფლების სესხის გასაძლიერებლათ. ენტუზიაზმი უმაღლეს წერტილზე ავიდა. შეაგროვეს ოთხი ტომარა სავსე ფულით, მრავალი მარგალიტი, ოქროსა და ვერცხლის ნივთები, ბინოკლები და სხ. ხალხი მღეროდა მარსელიოზას და იძახდა „ურას“. კრების ინიციატორი დუბინსკი ხელით შეიყვანეს გენერალ-გუბერნატორის სახლში.

პეტროგრადი. დამფუძნებელ კრების საარჩევნო კანონის შემმუშავებელ კომისიაში კადეტების მხრივ არჩეულ იქნა ვინავერი, ოქტომბრისტებიდან სახელმწიფო სათათბიროს წევრი სავიჩი, ხალხურ სოციალისტების მხრიდან მიაკოტინი, მის მოადგილეთ ბერენშტამი, მემარცხენე ოქტომბრისტებიდან შიდლოვსკი.

მუშათა კომიტეტები.

პეტროგრადი. დროებითმა მთავრობამ დაამტკიცა მუშათა კომიტეტების გეგმა სამრეწველო დაწესებულებებში. ეს კომიტეტები მოეწყობიან ყოველი დარგის სახელმწიფო, თუ კერძო სამრეწველო დაწესებულებებში. ამასთანავე როგორც მთელი დაწესებულებისთვის, აგრეთვე მის განყოფილებებისთვის. მათ შეუძლიათ შეერთდენ ერთს უმთავრეს კომიტეტში. კომიტეტის წევრები არჩეულ იქნებიან საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრით, ქალებისა და არა სრულწლოვანთა გამოუკლებლათ. კომიტეტის წევრი შეიძლება დათხოვნილ იქნას მხოლოდ შემრიგებელ კამერების დადგენილებით. თუ ასეთი არ არსებობს, კითხვას სწყვეტს სამედიატორო სასამართლო. კომიტეტების კომპეტენციას შეადგენს: 1) მუშათა წარმომადგენლობა ადმინისტრაციის წინაშე სხვადასხვა კითხვის გადასაწყვეტათ მწარმოებელთა და მუშათა შორის, 2) კითხვების გადაწყვეტა თვით მუშათა შორის მომხდარ კონფლიქტების გამო. 3) მუშათა წარმომადგენლობა მთავრობისა და საზოგადო დაწესებულებებში. 4) კულტურულ-განმანათლებელი მოქმედება და სხვადასხვა ზომების მიღება მუშათა პირობების გასაუმჯობესებლად.

ყოველ დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია კრებ სთვის შენობა დაუთმოს. კრებებზე შეიძლება დაესწრონ გარეშე პირნიც. კრებები ხდება არა სამუშაო დროს.

ხ უ რ ხ ა თ ი.

პეტროგრადი. დროებითმა მთავრობამ დაავალა სამხედრო მინისტრს შეადგინოს დაინტერესებულ დაწესებულებიდან და აგრეთვე მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატ. წარმომადგენლებისაგან კომისია იმის გადასაწყვეტათ, თუ როგორ მოაწყონ სურსათისა და სანოვაგის შემოტანა.

პეტროგრადი. თავრიდის სასახლეში შესდგა მრავალრიცხოვანი სათათბირო კონფერენცია ფრონტებიდან მოსულ დელეგატებისა. კონფერენციამ შეიმუშავა დროებით მთავრობისადმი წარსადგენი კითხვები მისსა და მუშათა და სალდათთა დელეგატების საბჭოს შორის მდგომარეობის გასარკვევათ. კითხვა ფრონტზე მტრის ჯარისკაცებთან დაძმობილებისა და დეზერტირობის შესახებ მოხსნეს. ხანგრძლივი კამათი გამოიწვია წითელი გვარდიის კითხვამ. დელეგატები ამბობდენ, რომ რევოლუციის მხარის დასაჭერათ არსებობს რევოლუციური ჯარი. მერვე არმიის დელეგატმა განაცხადა: რადგან ზევრ სალდათს პეტროგრადის გარნიზონისას არ ყოფნით ვინტოვკები, ამიტომ წითელ გვარდიას უნდა ჩამოერთვას იგი და სალდათებს გადაეცეს. ფრონტი შესძლებს დაიცვას თავისუფლება და დაამარცხოს მტერი. მუშათა და სალდათთა დელეგატების საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ მუშებს კანონით ეკუთვნით ვინტოვკები, რადგან როცა ისინი 27 თებერვალს ქუჩაში გამოვიდენ, მათ არ იცოდენ თუ ვისკენ იქნებოდენ სალდათები. იარაღის ჩამორთმევით შეურაცყოფას მივაყენებთ პროლეტარიატს. 75 ხმის უმრავლესობით 68 წინაამდეგ გადაწყდა წითელი გვარდიის შესახებ კითხვა მოიხსნას. გზათა მინისტრმა ნეკრასოვმა გააკეთა მოხსენება ტრანსპორტის მდგომარეობის შესახებ. ვლადივასტოკში, განაცხადა მინისტრმა, მრავლათაა დატვირთული ვაგონები როგორც სურსათით ისე იარაღით. წინათ ვლადივასტოკში იგზავნებოდა დღეში 24 ვაგონი, ახლა კი 250. სურსათის და სანოვაგის გამოტანა ვლადივასტოკიდან უკვე მოეწყო. ამნაირათ ტრანსპორტის საქმე რეგულიარულათ წარმოებს. მინისტრმა აღნიშნა, რომ ამერიკა უგზავნის რუსეთს ორთქლმავლებს და ვაგონებს და ამასთანავე მუშებს და ინჟინერებს ამერიკადან მომავალ ტრანსპორტის მოსაწყობათ. მინისტრი წარმომადგენლების პირით სთხოვს სალდათებს, რომ ისინი ნუ აღელდებიან, როცა მატარებლების უქონლობის გამო ვერ ახერხებენ თავის დროზე მისვლას. ყოველი ზომა მიღებულია, მაგრამ ვაგონების უქონლობის გამო მაინც შეუძლებელია არმიის და მოქალაქეთა მიმოსვლის დაკმაყოფილება. დასასრულ ნეკრასოვმა განაცხადა, რომ წარსული მარტი ტრაგიული იყო: სავსებით შესწყდა ვაგონების დატვირთვა. ეხლა მდგომარეობა გაუმჯობესდა: ვაგონების დატვირთვა გაფართოვდა. მინისტრმა განაცხადა, რომ ის მომხრეა სოციალისტური წარმომადგენლების მიერ მონაწილეობის მიღებისა დროებითი მთავრობაში. ჩხეიძემ წარმოსთქვა სიტყვა, სადაც [illegible] თავისუფლების სესხისათვის მხარის დაჭერას. რომ მთავრობამ შეასრულოს თავისი დაპირებანი, საჭიროა მას საშუალებაც ჰქონდეს. რომ მთავრობამ იმოქმედოს ისე, როგორც ამას მოითხოვს დემოკრატია, ჩვენ უნდა ვიქონიოთ მასზე გავლენა, მაგრამ ჩვენი გავლენით კი არ უნდა გავჰყლიტოთ უპასუხისმგებლო უმცირესობა, რომელიც მოითხოვს ძალის ხელში ჩაგდებას და უარს ამბობს თავისუფლების სესხის მხრის დაჭერაზე, ეს უმცირესობა კი მოგვიწვევს მთავრობის გასაძლიერებლათ. რადგან ომი არის, საჭიროა ფულიც, რომ ვიყიდოთ თივა ცხენებისთვის და მაზარები სალდათებისთვის. დასასრულ ჩხეიძემ ილაპარაკა რევოლუციონურ დემოკრატიის შესახებ და აღნიშნა საჭიროება მთელი ქვეყნის დემოკრატიის შეერთებისა და ინტერნაციონალის აღდგენისა.

მოსკოვი. მოსკოვის მუშათა და სალდათთა დელეგატების კრებაზე, რომელიც მოწვეული იყო სასურსათო კრიზის გამო, დადგენილ იქნა გაიყვანონ მოსკოვიდან ცხენები, რომელნიც საჭირო არ არიან დატვირთვისა და მიმოსვლისათვის. კრებამ გამოსთქვა თავისი აზრი სრულიად რუსეთის სასურსათო კრების მოწვევის შესახებ, რომ მალე განხორციელებულ იქნას პურის სახელმწიფო მონოპოლია და საზოგადოთ აღნუსხულ იქნას შემონახული სურსათი.

ამერიკელი მუშების სალამი.

ნიუ-იორკი. 25 აპრ. ამერიკის შრომის ფედერაციის პრეზიდენტმა გომპერსმა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს გამოუგზავნა მისალმების დეპეშა, რომელშიაც ამბობს, რომ კომიტეტს შეუძლია უეჭველი იმედი ჰქონდეს ამერიკის ხალხის გერმანიის მილიტარიზმის წინაამდეგ ბრძოლაში. ამ მიზნის განხორციელებაში ამერიკის მთავრობას მხარს უჭერს ხალხის 99 პროცენტი, მათ შორის სოფლის და ქალაქის მუშა ხალხი. ამერიკის მხოლოდ მცირედი ჯგუფია იმის მომხრე, რომ გერმანიამ და მისმა მოკავშირემ სხვებზე იბატონოს. ნუ თუ პროტესტი არ უნდა განვაცხადოთ იმ სოციალისტის წინაამდეგ, რომელიც იმპერატორის მომხრეა და უანექსიოთ ზავს მოითხოვს, რაც იმის მომასწავებელია, რომ დაპყრობილი ერები იძულებული იქნებიან გერმანიის და იმისი დამქაშის—ავსტრიის და ოსმალეთის უღლიდან თავი ველარ დააძრონ. არ უნდა იქნეს იძულებითი ანექსია, მარა ყველა ერს უფლება უნდა ქონდეს თვითგამორკვევის, რასაც მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო მოითხოვს. თქვენთან ერთათ ჩვენც წინააღმდეგი ვართ ყოველგვარი კონტრიბუციისა და სამართლიანოთ ვთვლით ბელგიის, სერბიის და პოლონეთისთვის კონტრიბუციის გადახდევინებას. ამერიკის მუშები იზიარებენ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ თუ გერმანიის ხალხს მართლა სურს მალე მოეღოს ბოლო საშინელ ომს, ერთად ერთი გზა დარჩენიათ—მიბაძონ რუსეთის გმირ ხალხს: ტახტიდან გადააყენონ ჰოჰენცოლერნები და ჰაბსბურგები, ჩამოაცალონ სახელმწიფოს საქმეებს აზნაურობა, ბიუროკრატია და მათი ამყოლ-დამყოლნი. გერმანიის სოციალისტები უნდა გაიმსჭვალონ ამ აზრით და თავი გაანებონ თავის ინტრიგებს და გაბატონებული კლასებისთვის სასარგებლო ზავის დაჩქარებას, ახსნან როგორ ეჰმით უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი, მაშინ, როცა გერმანიის სამხედრო კასტა შეურყეველია და თავის ალაგას სდგას. ამერიკის მთავრობა, ხალხი და მუშები გულწრფელათ უჯურებს რუსეთის მუშათა კლასს მოპოებული თავისუფლების შენარჩუნებას. გომპორსი აღტაცებული მოუწოდებს რუსეთის დემოკრატიას შეუკავშირდეს ამერიკისას—ავტოკრატიის და დესპოტიზმის გასანადგურებლათ მის მსოფლიოში და სამართლიანობის და თავისუფლების დასამკვიდრებლათ მომავალი თაობის საბედნიეროთ.

ღვდლების გადაყენება.

ჟიტომირი. 24 აპრ. უკანასკნელ ორი კვირის განმავლობაში სოფლის საზოგადოებებმა 60 მეტი განაჩენი გამოიტანა ღვდლების ადგილებიდან გადაყენების შესახებ.

რვა საათის სამუშაო დღის შემოღება.

სებასტოპოლი. 24 აპრ. სამხედრო ფლოტის ცენტრალურმა და საგარნიზონო ჯარის კომიტეტმა და აგრეთვე მუშებმა დაადგინეს 8 საათის სამუშაო დღე იქნას შემოღებული.

საბერძნეთში მეფის ჩამოგდებას მოითხოვენ.

სალონიკი. 23 აპრ. მოხდა გრანდიოზული მიტინგი, რომელზედაც 40000 ბერძენი დაესწრო, რომელზედაც მეფე კონსტანტინეს ტახტიდან ჩამოგდებას და რესპუბლიკის დამყარებას მოითხოვდენ.

სამღვდელოება და ერის კაცთა კრება.

ადესა. 21 აპრილი. სამღვდელოებისა და ერის კაცთა კრებაზე შემდეგი რეზოლუცია მიიღეს: დაუყონებლივ შემოღებულ იქნას 8 საათის სამუშაო დღე, მინიმალური სამუშაო ქირის დაკანონება. თვეში სამი დღით დასვენება, უფასოდ წამლობა, უფასო ბინა, გათბობა განათება, სახელმწიფოს მიერ მუშების დაზღვევა, პენსია, ქალთა შრომის და ქალთა ორსულობის დროს დაცვა მცირე წლოვანთა წარმოების მძიმე დარგებში მუშაობის აკრძალვა. გარდა ამისა დასახელებული კრება თავის რეზოლიუციაში მუშებს შინაურ თანხმობისაკენ მოუწოდებენ, რათა ამ გზით შესძლონ შინაურ და გარეშე მტრის მოგერიება.

„თავისუფლების სესხის“ განაღდება.

პეტროგრადი. 24 აპრილი. ფინანსთა მინისტრის ოფიციალური ცნობით პეტროგრადის, მოსკოვის და პროვინციის საკრედიტო დაწესებულებებმა და შემნახველ გამსესხებელ კასებმა 14 დღის განმავლობაში 412 მილიონ მანეთის „თავისუფლების სესხი“ განაღდეს.

ფინანსთა მინისტრი ახალ ფულის გამოცემას აპირებს.

ფინანსთა მინისტრმა დროებით მთავრობაში პროექტი შეიტანა, რომელშიაც ის თხოულობს ახლო მომავალში 1000 მანეთიანი ქაღალდის ფულის გამოცემას.

ინგლისის მთავრობა ემიგრანტებს უშვებს.

ლონდონი. ინგლისის მთავრობამ რუს ემიგრანტების დაკავების პოლიტიკას თავი დაანება და ახლა იგი ოფიციალურათ აცხადებს, რომ ემიგრანტების რუსეთში გაგზავნას ხელს შეუწყობს. იგი სპეციალურ გემსაც ზოულობს, რომელზედაც რუსეთის ემიგრანტები დასხდებიან და სამშობლოში გაემგზავრებიან.

ფინლიანდიის მუშების გაფიცვა.

ჰელსინგფორსი. 24 აპრილი. რაიმეს მუშათა ორგანიზაციამ ჰელსინგფორსის ქალაქის თვითმართველობას მოთხოვნა წაუყენა რომელშიაც ისინი თხოულობდენ, რომ მართველობაში სოციალდემოკრატებს შესაფერი ადგილი დაეთმობოდათ. მართველობის უარის შემოთვლის შემდეგ მუშებმა საერთო გაფიცვა გამოაცხადეს. ყველა ქარხანა ფაბრიკები, ელექტრონის სადგურებისა და რკინის გზის მუშები გაიფიცნენ, გარდა თავდაცვაზე მომუშავეთა. ქალაქი წყვდიადით არის მოცული.

ახალი გამოგონება.

ვაშინგტონი. 24 აპრილი. დეპეშათა ცნობით გუდზონ მაქსის კომერციული გემებისათვის განსაკუთრებული ჯავშანი გამოუგონებია, რომელიც გემებს წყალქვეშა ნავების თავდასხმისაგან უზრუნველყოფს.

ომი და ზავი.

რუმინია ზავის შესახებ.

ბრატიანოს ჟურნალისტებისათვის უთქვამს: ჩვენი მიზანი არ არის სხვისი ტერიტორიების შემოერთება და ანექსია, მხოლოდ ჩვენ გვსურს, რომ ავსტრიის მიერ დაკავებული რუმინიის ადგილები შემოვიერთოთ.

ინტერნაციონალის ბიურო და ზავი.

ინტერნაციონალური სოციალისტური ბიუროს მდივან ჰუისმანს ჟურნალისტებსთვის განუცხადებია: ომი უანექსიოთ დასრულდება, მკვიდრი ზავის ჩამოგდება რუსეთზეა დამოკიდებული უმთავრესათ კი გერმანელებზე. კერენსკიმ განაცხადა, რომ რუსეთი კონსტანტინეპოლის ხელში ჩაგდებაზე ხელს იღებს. გერმანიამ [illegible] აღმოსავლეთისაკენ ანექსიას [illegible] დასავლეთისაკენ თავის სურვილებს მალავს. ზავის ჩამოგდება იმაზეა დამოკიდებული, თუ გერმანიის სოციალდემოკრატები რამდენათ მოახერხებენ გავლენა იქონიონ თავიანთ მთავრობაზე და მას დასავლეთისაკენ ადგილების შემოერთებაზე ხელი აღებინონ.

შეთანხმების სახელმწიფოების საპარლამენტო კონფერენცია.

პარიზი 24 აპრილი. შეთანხმების სახელმწიფოების საპარლამენტო კონფერენციამ შემდეგი რეზოლუცია გამოიტანა: შეთანხმების სახელმწიფოების შორის სრული ერთსულოვნება არსებობს: ზავმა უნდა უზრუნველჰყოფს ერთა სამართლიანი მოთხოვნილება და თავისუფლების და უფლების გამარჯვება.

დამფუძნებელი კრების მოწვევის კომისია.

დამფუძნებელ კრების მომწვევმა კომისიამ დაადგინა, რომ მომავალ დამფუძნებელ კრებაში მონაწილეობის მიღების უფლება მცხოვრებლებიდან და ჯარიდან 20 წლიანებს იქნებათ. კანონის შემუშავება პირველ ივნისამდის დასრულდება, არჩევნები ოთხ თვეს გასტანს. დამფუძნებელ კრების მოწვევა მოსალოდნელია პირველ ოქტომბრამდის მოხდეს. რომანოვის მოგვარენი, რომლებიც დაპატიმრებულნი არ არიან, აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება მიენიჭებათ, მხოლოდ ისინი, რომლებიც ციხეებში სხდიან, პასიური საარჩევნო უფლება ეძლევათ.

ომის დეპეშები.

(პ. დეპ. სააგ.)

პეტროგრადი. 25 აპრილი. დასავლეთის ასპარეზზე, სვენციონის მიმართულებით, გოდუშიშკის ჩრდილო-აღმოსავლეთით მოწინააღმდეგემ სროლა განაცხოველა, ამ ბრძოლის სხვადასხვა ადგილებში ისინი შეეცადნენ ჩვენს თხრილებს დაახლოებოდენ, მაგრამ მათ ეს ვერ შესძლეს. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

რუმინიის ფრონტზე. მდ. სიტოს ველზე მტრის ქვეითი ჯარის იერიშები მოვიგერიეთ. დანარჩენ ადგილებში, მხოლოდ მოწინავე რაზმები იბრძვიან.

კავკასიის ფრონტზე. ჩვენი მოწინავე რაზმები მდ. დიალუზე გადავიდენ, მაგრამ მტერმა აიძულა რაზმები კვლავ უკან დაბრუნებულიყვნენ. ოსმალეთის სამხედრო შტაბის ცნობით, რაკი რუსეთის ჯარმა მუში დასტოვა იქ ოსმალთა ჯარმა შემოვიდა.

ადესა. 25 აპრილი. ადესიდან მოსულ ცნობების მიხედვით რუმინიის ფრონტზე რამდენიმე დღეა, რაც მტერმა ჰაერში ბრძოლა განაცხოველა. 22 აპრილს ქალაქ ადესაზე გერმანელების ჰაეროპლანები გამოჩნდენ, მაგრამ მალე მიიმალნენ. შესაძლებელია ეს ჰაეროპლანები იყო, რომელმაც ბესარაბიის სადგურში ყუმბარები ჩაყარა.

პარიზი. 24 აპრილი. მთელი დღის განმავლობაში გერმანელებს კონტრ იერიშები მოჰქონდათ. ლაფოს მიდამოებში საარტილერიო სროლაა. კალიფორნიის მაღლობებზე ჩვენი ჯარი ახლად დაკავებულ პოზიციებზე გამაგრდა. რეიმსის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენ ოდნავ წინ წავიწიეთ.

პარიზი. 25 პ. ბალკანეთის მთელ ფრონტზე საარტილერიო სროლა სწარმოებს. ლუბნიცის რაიონში საფრანგეთის ჯარმა მტრის მოწინავე პოზიციები დაიკავა. აქ მტრის კონტრიერიშები მოვიგერიეთ.

ლონდონი. 24 აპრ. საფრანგეთის ფრონტზე, სოფ. ბიულეკურის ახალი სანგრები დავიკავეთ და აქედან მტრის ჯარისკაცები ტყვეთ წამოვიყვანეთ. იპრის სამხრეთით ჩვეულებრივი სროლაა.

ლონდონი. 25 აპრილი. საფრანგეთის ფრონტზე სუზესთან მტრის რამდენიმე კონტრიერიში მოვიგერიეთ. იერიშები მოვიგერიეთ აგრეთვე ბიულის კურას მიდამოებში.

ახალი ამბები

დღეს თფილის ს. დ. კომიტეტთან არსებულ პროპაგანდისტთა წრეში აზატიანი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: პროგრამა მაქსიმუმი და მინიმუმი.

◆ **საქართველოს ეკლესიის** დროებითმა მთავრობამ პროფ. ბენეშევიჩს წარუდგინა პროექტი საქართველოს ეკლესიის მოწყობის შესახებ. ბენეშევიჩმა პროექტი მიიღო და დეპეშით გადასცა ცენტრალურ მთავრობას.

◆ **ფოსტის გაცარცვა**. 25 აპრილს ღამით ნაძირალები დაეცნენ ელისაბედის ქუჩაზე (თფილისში) ფოსტის განყოფილებას, დასჭრეს მცველი ჯარისკაცი, ერთი მილიციონერი, გაიტაცეს 50 ათასი მანეთი და მიიმალნენ. სადგურზე იმ ღამესვე შესაფერი ზომები მიიღეს, მაგრამ ჯერჯერობით ავაზაკების კვალს ვერ მიაგნეს. ხალხი აღშფოთებულია.

◆ **მუშათა დეპუტატების** საბჭოში ამ ბოლო დროს აუარებელი განცხადებები შედის სახლის დამქირავებელთაგან, რომელთაც დიდ შევიწროვებას აყენებენ სახლის მეპატრონენი ქირის მომატებით და სხვა. მომჩივანნი ამის მიზეზათ ასახელებენ ქალაქის გამგეობის საკითხის მოუწესრიგებლობას. მუშ. საბჭომ დაადგინა: ვინაიდან თფილ. ქალაქისაბჭო სხვილ ცენზოვან პირებისაგან შედგება და მათთვის სრულიად უცნობია ხალხის ინტერესებზე ზრუნვა, წინადადება მიეცეს აღმასრულებელ კომიტეტს, როგორც რევოლიუ-

ეროვნული

ციონურ მთავრობის ორგანოს, გამოსცეს ამ საკითხის შესახებ შესაფერი დადგენილება.

◆ **ნავთლუღის განმანაწილებელი პუნქტი.** დაბა სოფლებიდან ყოველ დღე აუარებელი ხალხი მოდის ავადმყოფ ჯარისკაცების სანახავათ. მაგრამ ბევრი მშობელი ნათესავი მიზანს ვერ აღწევს—სნეულს ვერ ნახულობს. მიზეზი ისაა, რომ სარეგისტრაციო წიგნები ერთობ არეულ-დარეულია. საჭიროა ეს ნაკლი ეხლავე აიშორონ თავიდან.

◆ **მუშათა საავადმყოფო კასები.** ამ დღეებში დაინიშნება თფილისის საავადმყოფო კასების წარმომადგენელთა კრება, რომელზედაც უნდა იმსჯელონ სხვათა შორის ყველა ადგილობრივი კასების გაერთიანების შესახებ, მუშათა დაზღვევაზე, საექიმო დახმარებაზე და სხვა. კრებამ ეხლავე უნდა იქონიოს მსჯელობა ამ კითხვების შესახებ და აირჩიონ შესაფერი დელეგატები. კრების დღე და დრო ცალკე იქნება გამოცხადებული.

◆ ქუთაისის სოციალდემოკრატიული პარტიის კომიტეტი აცხადებს ამხანაგების საყურადღებოთ, რომ კომიტეტის ბიურო მოთავსებულია ტაბაძის სახლში, მუშათა დეპუტატების საბჭოს ბინაზე. ბიურო ღიაა დილით 10—1 საათამდე, საღამოს 4—7 საათამდე.

◆ ტრაღიკულათ დაღუპულ ამხანაგ გრიშა ხერხეულიძის ხსოვნის აღსანიშნავათ გვგზავნით 25 მანეთს გაზეთ „ერთობისა“ და ჯარისკაცებისათვის გაზეთის გასაწერათ. კოლა მაჭავარიანი.

◆ ამიერ-კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტთან დაარსდა საზოგადოებრივი კომიტეტი „თავისუფლების სესხის“ სახელწოდებით. კომიტეტის მიზანია ხელი შეუწყოს სესხის ობლიგაციების ფართო გავრცელებას. საქმის ინიციატორები გვთხოვენ ჩვენს გაზეთში შემოვიღოთ განსაკუთრებული განყოფილება, რომელშიც უნდა იბეჭდებოდეს ცნობები ა. სესხის შესახებ. კომიტეტი მოთავსებულია სახელმწიფო ბანკში, ლორის-მელიქოვის ქუჩ.

◆ დღეს, 27 აპრილს, სასახლეში (во дворцѣ) საღამოს 5 საათზე შესდგება ქართველ სტუდენტ მარქსისტთა კრება.

კრებას შეუძლიათ დაესწრნენ ის ყოფილი სტუდენტები, რომლებიც ეხლა სამხედრო სამსახურს იხდიან. ვთხოვთ ამხანაგებს უეჭველად გამოცხადდენ კრებაზე.

◆ **თბილისის ქართველ მასწავლებელთა** კრება კავშირის წესდების განსახილველათ და დელეგატების ასარჩევათ დანიშნულია პარასკევს, აპრილის 28-ს საღამოს 7 საათზე ქართულ გიმნაზიის შენობაში.

◆ 23 აპრილს სახალხო სახლში შესდგა სავაჭრო დაწესებულებებში მოსამსახურეთ-პროფესიონალური კავშირის წევრების კრება, რომელსაც დაესწრო 800-ზე მეტი კაცი. კრებამ მიიღო შემოღებულ იქნეს სავაჭრო დაწესებულებებში 8 საათის სამუშაო დღე, კანტორის მოსამსახურეთათვის კი ექვსი საათის. ამ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლათ დაადგინეს აირჩიონ ცალკე კომისია სხვადასხვა სავაჭრო დაწესებულებათა წარმომადგენლებისაგან.

◆ სამშაბათს, 2 მაისს, საღამოს ექვს საათზე, არტისტიულ საზოგ. საზაფხულო შენობაში (მიხეილ. ქ.) დანიშნულია თფილისის სოც.-დემ. ორგანიზაციის მეორე რაიონის წევრთა კრება, შეუძლიათ დაესწრონ უკვე ჩაწერილ წევრებს, საჭიროა საწევრო ბარათების ან კვიტანციების თან წამოღება.

◆ **წითელი ყვავილის დღე ალექსანდროპოლში.** 29 აპრილს ქალაქ ალექსანდროპოლის რ. ს. დ. მ. პარტიის კომიტეტი მუშათა საბჭოსთან შეთანხმებით მართავს „წითელ ყვავილის“ დღეს, რომლის შემოსავალი გადაიდება წითელი ლიტერატურის სასარგებლოთ. იმედია საზოგადოება ყურადღებით მოეპყრობა ამ სიმპატიურ საქმეს.

პროვინციის ქრონიკა.

დ. ხაშური. თითქოს წელიწადი სრულდება, რაც ხაშურელმა ქართველმა მანდილოსნებმა განიზრახეს ქალთა საზოგადოების „მანდილოსნის“ გახსნა. გამართეს კრება, წევრებიც ჩაეწერა და დროებით არჩეული გამგეობა შეუდგა მუშაობას. ამ ხნის განმავლობაში რამდენიმე საღამოც გამართეს, რომლიდანაც კარგა ბლომა ფული რჩებოდათ. თუმცა გამგეობა მუშაობდა, საღამოებსაც მართავდა, მაგრამ საზოგადოების ოფიციალურათ გახსნას კი დღევანდლამდე ვერ ვეღირსეთ და პატივცემული მანდილოსნები რადაც მიზეზთა გამო არ ხსნიან საჩაიეს და სხვ., მაგალითად როგორც გორშია და სურამში. როგორც ბოროტი ენები ამბობენ, ზოგიერთა წევრები იმ აზრისანიც კი ყოფილან, რომ „მანდილოსანი“ დაუკავშირონ პარტიას. რამდენათ მართალია ეს ხმები არ ვიცი, მხოლოდ თუ მართალია რა უფლებით სჩადიან ამას, როდესაც „მანდილოსანში“ ყველა მიმართულების ქალებია ჩაწერილი.

— ხაშურის რაიონის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაატყვევა ხაშურში კარგათ ცნობილი რეციდივისტი სანდრო ამულიანცი (ბითურათ წოდებული) და დ. სურამში ყოფილი მფრინავი რაზმის უფროსი დათიკო სავანელი.

— ხაშურის რაიონის სოც.-დემოკ. მუშათა პარტიის კომიტეტმაც მოაწყო დაბაში და ახლო მდებარე სოფლებში მუშათა პრესის დღე—22 აპრილს.

— მოხდა ხაშურის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტ. საბჭოების შეერთება. საერთოთ ხსენებული საბჭოები მეტად ენერგიულათ მოქმედობენ და განახლებულ ცხოვრებაში მეტი სიფხიზლე, მეტი სიცოცხლე შეაქვთ.

ბათუმი. 16 აპრილს რკინის თეატრში ადგილობრივი მომხმარებელი საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება მოხდა. კრებამ განიხილა და დაამტკიცა წარსული წლის ანგარიშები, აირჩია გამგეობის წევრთა კანდიდატები და ხელ-ახლა აირჩია სარევიზიო კომისიის მთელი შემადგენლობა.

— სოც.-დემ. ორგანიზაციის ინიციატივით სწრაფათ აარსებენ სხვადასხვა დარგის მუშების პროფესიონალურ კავშირებს.

— შესდგა მარქსისტ მოწაფეთა ჯგუფი, რომლის მიზანია მარქსის მოძღვრების შესწავლა. ჯგუფს ხელმძღვანელობენ გიმნაზიის უფროსი კლასების მოწაფეები.

— მუშათა საბჭომ და აღმ. კომიტეტმა გადასწყვიტა, შეაჩეროს ადგილობრივი რუსული გაზეთის „ბატუმსკია ვესტის“ გამოცემა, აშკარა პროვოკაციონულ წერილების მოთავსების გამო.

შთაბეჭდილებანი.

(თფ. გუბ. სახალხო მასწ. დელეგატთა კრება).

(დასასრული).

ახლა გადავიდეთ თვით მასწავლებელთა კრების საქმიანობაზე.

კრების დიდ უმრავლესობას ქართველები შეადგენდენ. დღის წესრიგში მოქცეული საკითხები უმეტესათ პოლიტიკური ხასიათისა იყო.

კრებაზე ორმა მიმდინარეობამ იჩინა თავი. აქ ინტერნაციონალური მცირე ჯგუფი დაუპირდაპირდა ქართველ ნაციონალისტთა მოზრდილ ჯგუფს.

ზოგ მკითხველს შეიძლება გაუკვირდეს, რომ სოფლის მასწავლებელი, მდგომარეობით პროლეტარი, ამ კრებაზე პროლეტარულ მსოფლმხედველობას არ იზიარებდა. ერთი შეხედვით ეს მართლაც უცნაური მოვლენაა, მაგრამ თავისი ღრმა მიზეზებიც აქვს. თვით პროლეტარებიც არიან ისეთები, რომ პროლეტარულ მსოფლმხედველობას არა თუ ემხრობიან, მტრობენ კიდეც. ისინი თავისი თავისაც უნებლიეთი მტრები არიან. ამავე მდგომარეობაში იმყოფება მასწავლებელთა ჩამორჩენილი ნაწილიც.

კრების მონაწილე მასწავლებელთა უმრავლესობის პოლიტიკური გაუწვრთნელობის და ჩამორჩენის მიზეზი, სხვათა შორის, ის გარემოებაცაა, რომ თფილისის გუბერნიის სოფლები, სადაც მასწავლებელი ეწევა თავის მძიმე ჰაპანს, ჩამორჩენილი და გაუთვითცნობიერებელია.

თავდაპირველათ მასწავლებელს კი არ შეაქვს ხალხში პოლიტიკური შეგნება, პირიქით, ის თვითონ ითვისებს გაცნობიერებული ხალხისგან ასეთ შეგნებას. ამით აიხსნება ის, რომ დასავლეთ საქართველოს მასწავლებლობა უფრო დემოკრატიული და სოციალისტურია, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოსი. დასავლეთ საქართველოს სოფლებს 1904 წ. მოედენ ბათომიდან დაბრუნებული მუშები და შეიტანეს მუშური შეგნება. ყოველივე ახალის მიმდევარი მკვირცხლი ხალხი ადრე ჩაება პრაქტიკულ მუშაობაში, რომელშიაც ჩაიყოლია სოფლის მასწავლებლების მოწინავე ნაწილიც. აღმოსავლეთ საქართველოს ეს გზა არ გაუვლია და ამიტომ აქაური მასწავლებლობაც ჩამორჩა უკან თავის მოძმეს იმდენათ, რამდენადაც აღმოსავლეთი საქართველო ჩამორჩა დასავლეთ საქართველოს.

კრების ასეთი შემადგენლობა, ცხადია, პოლიტიკური კითხვების გადაჭრაში, ნებსით თუ უნებლიეთ, სწორ გზას ასცდებოდა.

მოგეხსენებათ, ქართული ავტონომიის საკითხი ჩვენში კარგა ხანია წამოყენებულია. ამ საკითხს ებღაუჭებიან ჩვენებური ყველა ჯურის ნაციონალისტები და მის გარშემო განგაშს აწარმოებენ.

სოციალდემოკრატებს პრინციპიალურათ ავტონომიის საწინააღმდეგო არაფერი აქვთ, მაგრამ ადგილობრივ პირობების მიხედვით მის ლოზუნგათ გამოტანას არ ჩქარობენ. ჩვენი აზრი ავტონომიაზე ამასთანავე არსებითათ განირჩევა ფედერალისტების ავტონომიისაგან. ამას გარდა ავტონომიის წამოყენება ჩვენთვის ტაქტიკის საკითხია, ტაქტიკა კი დროსა და გარემოებას უწევს ანგარიშს.

ჩვენი ნაციონალისტები არ დაგიდევენ ტაქტიკას და წარამარა მოითხოვენ ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიას, რაც სხვა ეროვნებათა შორის გაუგებრობას, ეჭვსა და უკმაყოფილებას იწვევს.

მასწავლებელთა კრებამ მიიღო დადგენილება ავტონომიის მოთხოვნის შესახებ და მით ხელი შეუწყო სხვა ეროვნებათა უკმაყოფილების გაღრმავებას.

მასწავლებელთა კრებას ცხადათ ემჩნეოდა სხვა ეროვნებასთან გამოთიშვისა და განცალკევების ტენდენცია. კერძოთ რომ ჰკითხოთ, თითოეული ჩვენი ნაციონალისტი უარს ჰყოფს სხვათაგან გამოთიშვას, მაგრამ როცა ერთათ მსჯელობენ,—რაღაც სტიქიურათ მიექანებიან ამ მოლიპულ გზაზე.

კრებამ მიიღო დადგენილება ქართველ მასწავლებელთა ცალკე კავშირათ გამოყოფის შესახებ და მით მასწავლებელთა ინტერნაციონალურ ადგილობრივ კავშირში დეზორგანიზაცია შეიტანა.

კრებაზე ერთმა ახალგაზრდამ, გ. ნაკაშიძემ, ალღო აუღო ჩვენს ნაციონალისტებს და სავარჯიშო სიტყვა წარმოსთქვა ავტონომიის თაობაზე. ბ. ნაკაშიძემ თუმცა თავიდანვე სთქვა აღსარება, რომ პოლიტიკაში არაფერი გამეგება, მაგრამ ნაციონალისტთა აუდიტორიამ მას მაინც პოლიტიკური სიმწიფის მოწმობა მისცა და დელეგატათ აირჩია თფილისის მუშათა დეპუტატების საბჭოში..

პოლიტიკური ბორძიკი იმდენ აუგათ კიდევ არ ჩაეთვლებოდა კრების უმრავლესობას, სპეციალურ პედაგოგიურ დარგშიაც რომ უარესი შეცდომები არ ჩაედინა.

კრებამ მიიღო დადგენილება სახალხო სკოლების დირექტორისა და ინსპექტორების გადაყენების შესახებ და მათ სამაგიეროთ აირჩია სასკოლო კომისია. ამ კომისიაში სხვათა შორის აირჩიეს ბ. ვასილ ჯაფარიძე.

ყველასათვის ცხადია, რომ რევოლიუციის დროს, როცა მკვიდრი წესწყობილება კიდევ არაა დამყარებული, სკოლის სათავეში უნდა მოექცეს უმწიკვლო და მასთან ერთად ახალი წყობილების მედგარი დამცველი პირები.

ბ-ნ ჯაფარიძეს თუმცა პირადათ არ ვიცნობ, მაგრამ მის ანტიპედაგოგიურსა და რეაქციონურ მოღვაწეობას ჩემთან ერთად, ვფიქრობ, ყველა ქართველი მასწავლებელი იცნობს. ეს ის ჯაფარიძეა, რომელიც ცნობილი ლევიცკის მარჯვენა ხელი იყო. ეს ის ჯაფარიძეა, რომელმაც ანტიპედაგოგიური მეთოდით რუსული სახელმძღვანელო წიგნი შეადგინა ქართული სკოლებისათვის. ეს ის ჯაფარიძეა, რომელმაც მთავრობის დავალებით, თელავში მასწავლებელთა კურსებზე ლექციები წაიკითხა არითმეტიკის სწავლების შესახებ და ჩაუნერგა მსმენელთ ამ საგნის სწავლება სამშობლო ენის დაუხმარებლათ.

დღემდის თვით ნაციონალისტებიც არ იყვნენ ბ-ნი ჯაფარიძის კმაყოფილი.

მუშათა დეპუტატების საბჭოს წევრათ, გარდა გ. ნაკაშიძისა, კრებამ აირჩია ბ. სერგეი მამალაძე. სიტყვა რომ არ გავაგრძელოთ ვიტყვი, რომ ბ-ნი მამალაძეც ძველი სასკოლო რეჟიმის ერთგული ბურჯთაგანია, ისიც ანტინაციონალისტია.

ამნაირათ, კრების უმრავლესობამ აშკარა ანტინაციონალისტებს მისცა ხმა და საპასუხისმგებლო საქმეში აირჩია!..

ეს უცნაურობა, ეს უკუღმართობა აიხსნება მხოლოდ და მარტო იმით, რომ ნაციონალისტები ანტი-ინტერნაციონალისტები არიან. ოღონდ მათი პარტიული მოწინააღმდეგე ნუ იქნება, ოღონდ სხვა ეროვნების წარმომადგენელი ნუ ეყოლებათ გვერდით და სხვა ვინც უნდა იყოს,—სულ ერთია. ამას ააშკარავებს მათ მიერ შედგენილი და გათეთრებული პირწმინდათ ნაციონალური სია.

სოციალდემოკრატების ჯგუფი კრებაზე თუმცა 5—6 პირით განისაზღვრებოდა, მაგრამ ამ ჯგუფის სიამ 28 ხმა მიიღო. ეს მიტომ მოხდა, რომ სია ინტერნაციონალური იყო და სხვა ეროვნებათა პროგრესიული წარმომადგენელნი მას მიემხრნენ.

ბ-ნი ვ. ბურჯანაძე რომ სოციალდემოკრატების მოწინააღმდეგე ხმებით გათეთრდა ნაციონალისტთა სიაში,—ეს მხოლოდ უნდა აღინიშნოს.

კრებას ჰქონდა დადებითი მხარეც: მან მიიღო დადგენილებანი მასწავლებლის ჯამაგირის გადიდებისა, ყველა უწყებათა სკოლების გაერთიანების, ომში გაწვეულ მასწავლებელთა დაბრუნების, სკოლების ნაციონალიზაციის შესახებ და სხვა.

თ. კიკვაძე.

P. S. „სახალხო ფურცლის“ 846 ნომერში „ერთი მასწავლებელთაგანი“ მუშათა დეპუტატების საბჭოში არჩევნების გამო სწერს: „ბ. კიკვაძემ და ცირკვაძემ ჯერ კიდევ არჩევნების წინ განაცხადეს, რამდენათ ჩვენ ვიცით, არავითარი დაბრკოლება ამორჩეულ დელეგატების მიღებას საბჭოში არ გადაეღობებაო“. შემდეგ ავტორი კითხულობს: „მასწავლებელთა წარმომადგენლებათ გავიდნენ დიდი ხმის უმეტესობით არა სოციალ-დემოკრატები და ამ გარემოებამ თუ შექმნა ეს დაუძლეველი დაბრკოლებაც?“

უბრალო რიგიანობა მოითხოვდა, რომ ავტორს ხელი არ დაეფარებია ჩემ მიერ საჯაროთ წარმოთქმულ შემდეგი სიტყვებისათვისაც: „ყოველი შემთხვევისათვის ავირჩიოთ დელეგატები და თუ არ მიიღებენ საბჭოში, მიზეზი მაინც გვეცოდინება, ვსცადოთ და თუ მიიღენ, ხომ კარგი, თორემ და არჩევნებით მაინც რა დაშავდება“.

კრებაზე ისიც გავაცხადე, რომ თითო დელეგატს თფილისში ორასი კაცი ირჩევს პირდაპირი ხმებით მეთქი. აქედან ცხადია, რომ ჩემთვისაც არ ყოფილა საბოლოოთ გამორკვეული მასწავლებელთა დელეგატების მიღება-არმიღების საკითხი. მაგრამ, მოგეხსენებათ, „მელას რაც აგონდებოდა, ის ესიზმრებოდაო“. ჩვენს ავტორსაც ასე მოსვლია.

ავტორის მიერ მოყვანილი ჩემი სიტყვები ქ-ნი ყაზახიშვილის საპასუხოთ იყო ნათქვამი. ქ-ნმა ყაზახიშვილისამ განაცხადა, რომ, როგორც ნოე ჟორდანიამ ამიხსნა, მასწავლებელთა დელეგატებს საბჭოში არ მიიღებენ, რადგან საბჭო ინტელიგენტური ძალების შესვლას უფრთხისო. ამაზე კრებას მოვახსენე, რომ რამდენადაც ვიცი, სახალხო მასწავლებლებს არ შეეხება ქ-ნი ყაზახიშვილის განცხადებამეთქი.

ჩვენს მოწინააღმდეგე ავტორს ყოველივე ეს ან ვერ გაუგია, ან არ გაუგია.

თ. კიკვაძე.

რედაქციისაგან.

ვთხოვთ თფილისის ყველა რაიონულ ს.-დ. ორგანიზაციებს აირჩიონ პასუხისმგებელი კორესპონდენტები, რომელთა მოვალეობა იქნება გაზეთისთვის ყოველდღიურ უტყუარ ცნობების მიწოდება რაიონში მომხდარ კრებების, მუშათა და პარტიათა ცხოვრების და სხვა პოლიტიკურ საკითხების შესახებ.

ასეთივე კორესპონდენტების არჩევას სთხოვს რედაქცია პროვინციელ ს.-დ. ორგანიზაციებს ადგილობრივი ცნობების მოსაწოდებლათ.

კორესპონდენტის ვინაობა და ადრესი დაუყონებლივ უნდა ეცნობოს რედაქციას.

კავკასიის ჯარის დელეგატთა სიეზდი.

(მესამე დღე, 25 აპრ.)

სიეზდის სხდომა იხსნება 9 ს. 10 წ. **ევგ. გეგეჭკორის** თავმჯდომარეობით.

მიღებულია შემდეგი დღიური წესრიგი:

1. მიმდინარე მომენტი და ტაქტიკა—მომხს. დ. პოპოვი.
2. დროებით მთავრობასთან დამოკიდებულება—მომხს. ნაროდინი.
3. დამოკიდებულება ომთან—მომხს. აკაკი ჩხენკელი.
4. „თავისუფლების სესხი“—მომხს. ევგ. გეგეჭკორი.
5. დამფუძნებელ კრების მოწვევის დრო—მომხს. დონსკოი.
6. მუშათა კითხვა—მომხს. ნოე რამიშვილი.
7. აგრარული კითხვა—მომხს. ისიდორე რამიშვილი და ექ. ბერეზინი.
8. სურსათისა და სამხედრო მასალის მიწოდება ჯარისათვის—მომხს. შჩედრონსკი.
9. საექიმო სანიტარული დახმარება—მომხს. ექ. კაცმანი.
10. სამხედრო პირთა მატერიალური მდგომარეობა—მომხს. ანდრეევი.
11. გარნიზონებისა და ფრონტის შემადგენლობა—მომხს. კოშკინსკი.
12. სამხედრო პირთა ურთიერთ დამოკიდებულება—მომხს. პოლიკოვსკი.
13. ჯარის ორგანიზაცია—მომხს. მილოვი.

უკანასკნელი 6 კითხვა ჯერ გაირჩევა ცალკე სექციებში და შემდეგ მათ შესახებ მოხსენებას წაიკითხავენ სიეზდის საერთო სხდომაზე.

მიმდინარე მომენტისა და ტაქტიკის შესახებ მოხსენებას აკეთებს **დ. პოპოვი.**

რევოლიუციის მამოძრავებელი ძალა—ამბობს მომხსენებელი—არის პროლეტარიატი, გლეხკაცობა და პროგრესიული ბურჟუაზია. პირველი ორი კლასი რომ ქმნის რევოლიუციას—ეს სადაო არავისთვის არ არის. რა როლი უნდა მივანიჭოთ ბურჟუაზიას და როგორი უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება მისდამი—აი მთავარი კითხვა. აქ მომხსენებელი არკვევს ეკონომიურ-პოლიტიკურ პირობებს, რომელშიაც უხდებოდა მოქმედობა ბურჟუაზიას, აღნიშნავს თუ რამდენათ სულის შემხუთველი იყო ძველი რეჟიმი თვით ბურჟუაზიისათვისაც, რომელიც საბოლოოთ გადაუდგა თვითმპყრობელობას, როცა დაინახა მისი აგენტების გაიძვერობა, ღალატი და შეურიგდა რევოლიუციონურ ხალხს. ცხადია, ამით არ ისპობა ინტერესთა სხვადასხვაობა, მაგრამ დემოკრატიის ნებით უფლებამოსილი დროებითი მთავრობა შეუთანხმდა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სახით მთელს მშრომელ მასსას და ამ შეთანხმების ნაყოფია ის პროგრამა, რომელიც საფუძვლათ უდევს დრ. მთავრობის მოქმედებას და რომლის განხორციელება მიგვაქანებს დასახულ მიზნისაკენ... ყველა დაწესებულებათა დემოკრატიზაცია, დემოკრატიული რესპუბლიკა—აი საერთო მოთხოვნილებანი, რომელთა განხორციელების შემდეგ თავს წამოყოფს ინტერესთა სხვადასხვაობა, რადგანაც ყოვლად შეუძლებელია სოციალურ მოთხოვნილებათა მიფუჩეჩება, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც არ უნდა მივმართოთ ძალდატანებას. ეს გამოიწვევდა ანარქიას, რაც ასე სასურველია რეაქციონერთათვის. მომხსენებელს მოყავს მთელი რიგი მაგალითებისა კონტრ-რევოლიუციის შესაძლებლობის დასამტკიცებლათ, ეხება აგრეთვე ბონარლოუსა და რიბოს გამოსვლებს და დასკვნის ერთსულოვან, შეთანხმებით მოქმედების აუცილებლობას. ამ მოსაზრებით იგი მიესალმება მომრიგებელ კამერათა დაარსებას. ამასთანავე მას ყოველივე ვიწრო ნაციონალისტური მოთხოვნილების წამოყენება დამფუძნებელ კრებამდე მავნებლათ მიაჩნია...

დ. პოპოვი წინააღმდეგია აგრეთვე ჯარში ნაციონალურ ან პოლიტიკურ საფუძველზე რაიმე ორგანიზაციების შექმნისა, რაც დაარღვევდა რევოლიუციონურ ჯარის მთლიანობას. საჭიროა ჯარი და მუშათა კლასი გაერთიანდეს, საჭიროა მათი საბჭოების შეერთებაო, დაამთავრა მომხსენებელმა.

დ. პოპოვის მოხსენება იწვევს დიდ კამათს, რომელშიაც მონაწილეობას იღებს ორმოცამდე ორატორი. ირკვევა ორი მიმართულება. ჯარისკაცი **მალიგინი** აღნიშნავს, რომ როგორც მთელი ქვეყნის, ისე ჩვენი ბურჟუაზია გაჟღენთილია იმპერიალისტური სულისკვეთებით. იგი დარწმუნდა, რომ ძველი მთავრობა ვერ მიიყვანდა ომს „ბოლომდინ“, რომ შესაძლებელი ყოფილიყო სხვისი მიწა-წყლის შემოერთება და ამისათვის მხარი დაუჭირა რევოლიუციას. რევოლიუცია ბურჟუაზიისათვის იმდენათ არის საჭირო, რამდენათ იგი ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას. ჩვენ მას ვერ შევუკავშირდებით და ვერც ვერაფერს დავუთმობთ... ჩვენ მზად ვართ კომპრომისისათვის, მხოლოდ თუ ამას მოითხოვს დემოკრატიის გაერთიანების ინტერესი...

ექ. ბერიოზინი (ს.-რ.). თუ ბურჟუაზია კონტრ-რევოლიუციონური ძალაა—უნდა ვებრძოლეთ მას! მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის... ორატორი მოაგონებს სიეზდს კაკი წერეთლის სიტყვებს, დემოკრატიის ორმა მოქმედებამ მოგვიყვანა ციმბირში ყოფნის დროს აღტაცებაში: მან დაამხო თვითმპყრობელობა და მანვე თავი შეიკავა ჩაეგდო ხელში მმართველობაო... ნუ დაგავიწყდებათ, რომ დღეს კაპიტალისტური ხანაა, ბურჟუაზია ბატონობს მთელს ევროპაში და ყოვლად შეუძლებელია საბოლოო მიზნის დღევანდელ პირობებში განხორციელება. საჭიროა თანდათანობითი მუშაობა და წინსვლა. დასასრულ, ორატორი შესაძლებლათ სცნობს ჯარში პარტიული ორგანიზაციების მოწყობას, ასეთები უკვე არსებობენ, მაგრამ განხეთქილებას არ იწვევენო.

ალექსანდროვი მოითხოვს გაშუქებულ იქნას დემოკრატიისა და ბურჟუაზიის შორის დამოკიდებულება მეომარ სახელმწიფოებში და ამის მიხედვით ავაგოთ ჩვენი ტაქტიკაო.

ექ. ტერტერიანი. გზა გამარჯვებისაკენ ერთია, ხოლო მიზანი სხვა და სხვა. მუშები არამც თუ დღეს იქნებიან სოციალურათ დამორჩილებულნი, არამედ სანამ არსებობს ბურჟუაზიული წესწყობილება. ჩვენ არ უნდა ვივიწყებდეთ, რომ ვცხოვრობთ კაპიტალისტურ საზოგადოებაში, საჭიროა ბურჟუაზიის ძალის გამოყენება...

ექ. ბიტაბრამი. ამბობენ, დღევანდელი რევოლიუცია უმსხვერპლო არისო. ეს შეცდომაა. ჩვენ რამდენიმე მილიონი სიცოცხლე დავკარგეთ ბრძოლის ველზე, ომს კი მჭიდრო კავშირი აქვს რევოლიუციასთან. მსხვერპლი დიდია გაღებული და ვალდებული ვართ თავი შევიკავოთ ყოველგვარ ავანტიურისტულ გამოსვლებიდან.

არტიუკოვი. შიმშილი—აი რამ დააჩქარა რევოლიუცია. სასურსათო საკითხის გადაჭრაში დაინტერესებულია ბურჟუაზიაც. შესაძლებელია მასთან შეთანხმება დღევანდელ რთულ მომენტში.

დვორეცკი. მე თვით უკრაინელი ვარ, მაგრამ სასტიკათ ვეწინააღმდეგები უკრაინელთა ვიწრო ნაციონალისტურ პოლიტიკას, რადგანაც მას განხეთქილება შეაქვს მწყობრ რევოლიუციონურ რაზმებში. მართალია, რუსეთი დედინაცვლობას უწევდა სხვა ეროვნებებს, მაგრამ ეს იყო ძველი რუსეთი. დღეს რუსეთი მშობიარობის პროცესშია და ეს პროცესი უნდა დასრულდეს სასახლეში—დამფუძნებელ კრებაზე—და არა ქუჩაში და ახლათ შობილს უნდა დაეთქვას დემოკრატიული რესპუბლიკაო.

დანარჩენი ორატორები დაახლოებით ზემოთ მოყვანილ აზრებს გამოსთქვამენ. სანამ ჯარი და მუშათა კლასი იბრძვის ერთსულოვნათ—კონტრ-რევოლიუცია შეუძლებელიაო. უმრავლესობა ორატორებისა შესაძლებლათ და საჭიროთ სცნობს ბურჟუაზიასთან დღევანდელ მომენტში სოლიდარობას და მისი მოქმედების კონტროლს, რასაც სინამდვილეში უკვე აქვს ადგილიო.

მომხსენებლის საპასუხო სიტყვა უდროობის გამო გადაიდვა შემდეგი სხდომისათვის.

დღეიდან სხდომებისათვის სიეზდის განკარგულებაში გადადის სახაზინო თეატრის შენობა. სექციებმა უკვე დაიწყეს მუშაობა. დელეგატებს ეძლევათ უფლება ტრამვაით უფასოთ სარგებლობისა, სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშები „Извѣстія сов. раб. и солд. деп.“-ის დამატების სახით გამოვა ყოველდღე.

დაბოლოს, სიეზდმა ერთხმათ დაადგინა მისალმების დეპეშა გაუგზავნოს მეორე სახ. დუმის დეპუტატს **კაკი წერეთელს**. პირველ სხდომაზედვე სიეზდი მიესალმა პეტერბ. მუშ. და ჯარის კ. საბჭოს.

ვ. ალათიშვილი.

სოციალდემოკრატიულ პარტიაში.

სენაკის მაზრის სოც.-დემოკრ. ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრება.

13 აპრილს შესდგა სენაკის მაზრის სოც.-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრება. დელეგატები გამოცხადდენ შემდეგი ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებიდან: სენაკიდან, თეკლათიდან, შხეფიდან, ძველ-სენაკიდან, ნოსირიდან, გეჯეთიდან, წყებიდან, კოტიანეთიდან, ნოქალაქევიდან, აბედათიდან, უშაფათიდან, ბანძიდან, ლეხაინდრაოდან, მარტვილიდან, ნახუნაოდან, კიწიიდან, აბაშიდან, სუჯუნიდან, ზანათიდან, კვათანიდან, ონტოფოდან, სეფიეთიდან, სამიქაოდან, ქოლობნიდან და სხვათა ორგანიზაციებიდან.

დელეგატების მოხსენებამ გამოარკვია, თუ რამდენათ გაღრმავებულია დღეს პარტიული მუშაობა და რამდენათ გაძლიერებულია ჩვენი პარტიის ზეგავლენა სოფლის დემოკრატიულ მასაში. ფართე საზოგადოება ერთათ-ერთ მებრძოლ რევოლიუციონურ პარტიათ აღიარებს ჩვენს პარტიას, იყრის თავს ჩვენი დროშის ქვეშ. ხალხის ასეთი თანაგრძნობა წმინდა და გულწრფელია, პარტია, რომელიც

ეზიარა ტანჯვა-ვაებაში, გემოსცადა ბევრი ვაება, გადაიტანა წარსული რეაქციის მთელი ჯოჯოხეთური გეენია, ჭირში და ლხინში მაინც გვერდში უდგა დარაჯათ ტანჯულ მუშათა კლასს და დემოკრატიას, იყო და არის ჩვენი გულწრფელი მოამაგე. აი რას ამბობს ხალხი ერთხმათ ჩვენი პარტიის შესახებ.

მოხსენებიდან კრება გადადის დღიურ წესრიგზე. გაირჩა პირველად სასოფლო საზოგადოებათა კომიტეტების რეორგანიზაციის საკითხი. კრებამ ერთხმათ აღიარა ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის მიერ გამომუშავებული საარჩევნო ინსტრუქცია. თანახმათ ამ ინსტრუქციისა სენაკის მაზრაში უნდა მოხდეს ხელ-ახალი არჩევნები სასოფლო საზოგადოებათა აღმასრულებელი კომიტეტებისა. სენაკის მაზრა კრებამ დაჰყო სამი საარჩევნო რაიონად: სენაკის რაიონი, აბაშის რაიონი და მარტვილის რაიონი. არჩევნები ხდება კვირაუქმე დღე. სენაკის რაიონის 11 საზოგადოებაში კომიტეტების არჩევნები თითოეული ცალ-ცალკე ხდება ერთ კვირას სენ. რაიონში, მარტვილისაში მეორე კვირას, დ. აბაშისაში მესამე კვირაში. თითოეულ საზოგადოებაში პარტია აგზავნის თავის რწმუნებულს არჩევნებში დასასწრებლად და თვალ ყურის სადევნებლათ.

1 მაისობის შესახებ კრებამ დაადგინა: გაიმართოს სენაკის მაზრაში მიტინგები 6 პუნქტში.

კრებამ ერთხმათ დაადგინა მოეწყოს მუშათა პრესის დღე 22 აპრილს, სადაც შესაძლებელი იქნება უნდა გაიმართოს საღამოები, გაიმართოს შემოწირულების მოგროვება, მოწოდებით მიმართოს პარტიამ მუშებს დაეხმარონ მუშათა გაზეთებს, გაიმართოს გაზეთის ხელის მოწერის მიღება, გამოწერილ იქნას იმ დღისათვის დიდძალი გაზეთები.

კრებამ დაადგინა გაიგზავნოს თფილისში პროპაგანდისტთა კურსებზე პარტიული ამხანაგები. სამი კაცის გაგზავნას კისრულობს პარტიული კასა. ერთი ქალი უნდა გაიგზავნოს.

პარტიული მუშაობის გაღრმავებას კრება მიუცილებელ საჭიროებათ აღიარებს. პირველ რიგზე ყურადღება უნდა მიექცეს პროპაგანდას და პარტიული კლუბების მოწყობას. პარტიულ კლუბს საძირკველი უნდა ჩაეყაროს ყოველ სოფლის პარტიულ ორგანიზაციებში. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს სისტემატიურ მეცადინეობას, ლექციების და რეფერატების კითხვას.

ესერებთან შეთანხმებულ მუშაობას კრება საჭიროდ სცნობს. საზოგადოთ პარტია ცდილობს სხვა პარტიებთან თავდაჭერილობას,

კრებამ გასტანა მთელი ღამე. **ა.**

ს. დიდი ჯიხაიში.

12 აპრილს აქ მოხდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის კრება. პარტიაში ჩაეწერა 120 ახალი წევრი, არჩეულ იქნა ხელმძღვანელი კოლექტივი შემდგარი 9 კაცისაგან. აირჩიეს შემდეგი პირები: ი. ქუთათელაძე, ა. შუბლაძე, ს. ჩხეიძე, ნადია ბალავაძე, სონია ივანაძე, ი. ცქიტიშვილი, ქ. შუბლაძე, ვლ. ნუცუბიძე და ლ. ჭილაძე.

მეორე დღეს მოხდა კოლექტივის კრება. არჩეულ იქმნა პრეზიდიუმი, გადაწყდა 1 მაისს (18 აპრ.) გადახდილ იქმნას დღესასწაული ხელმძღვანელობას კისრულობს კოლექტივთა შემადგენლობა; 1 მაისს დღესასწაული აქ დიდებულათ ჩატარდა. დაესწრო 5000 კაცი.

ლ. ზემოხეთელი.

მეჯვრის ხევის რაიონი. (გორის მაზრა).

კვირას 16 აპრ. ამხ. ი. რუხაძეს ხელმძღვანელობით მოწვეულ იქნა ამ რაიონის ს. დ. ორგანიზაციის დამფუძნებელი კრება. დაესწრო 29 წევრი. არჩეულ პარტიულ პრინციპებზე მსჯელობის შემდეგ არჩეულ იქნა საორგანიზაციო კომისია.

მუშათა ცხოვრება.

ქუთაისი. 17 აპრილს მუშათა საბჭოს დარბაზში მოხდა ნოქართა კავშირის გამგეობის კრება, რომელსაც დაესწრო გამგეობის წევრებიდან 18 და ორი კანდიდატი. კრებამ თავმჯდომარეთ აირჩია გ. ტუსკია და მდივნათ ე. ჰავჭანიძე. დღიურ წესრიგში დაისვა ორგანიზაციული კითხვები. პრეზიდიუმის არჩევნები, აღმასრულებელი კომისიის არჩევა, ბინა, დროშა და სხვა. შემოდის სიტყვიერი განცხადება, რომ ერთი გამგეობის წევრთაგანი უარს აცხადებს მუშაობაზეო, კრება ადგენს სანამ ხსენებული პირი წერილობითი განცხადებას არ შემოიტანს, მანამ კანდიდატის მოწვევა არ შეიძლებაო. კრებამ პრეზიდიუმში აირჩია შემდეგი პირები: თავმჯდომარეთ გ. ტუსკია, ამხანაგათ თ. ჯიმშილეიშვილი. მდივნათ ერ. ჰავჭანიძე და ხაზინადრად იასონ ჭელიძე. აღმასრულებელ კომისიაში არჩეულია 7 კაცი. აკაკი ქავთარაძე, დათიკო ბერძენიშვილი, თომა ცხაკაია, ზენია ბრეგვაძე, ნინა ასლანიძე, პორფილე ბერიშვილი, და იპოლიტე კუპრაშვილი. კრებამ იქონია მსჯელობა წესდების შემუშავების შესახებ. ამხ. ერ. ჰავჭანიძე ამბობს, რომ მუშათა საბჭოს რამოდენიმე წევრს მინდობილი აქვს შეიმუშავოს პროფესიონალურ კავშირების წესდება, რომელსაც წამოაყენებს მაშინ, როდესაც ყველა პროფესიების კავშირების კრება მოხდებაო. კრება ღებულობს, რომ ეს კითხვა ღიათ დატოვოს მანამდის, სანამ საერთოთ მთელი კავშირების კრება არ მოხდება. ბინის შესახებ კრებამ იქონია მსჯელობა და დიდი კამათის შემდეგ დაავალა აღმასრულებელ კომისიას, ცენტრში გამონახოს კავშირისათვის ბინა. სანამ ბინას გამოძებნიდეს, მანამ კი კრებებისათვის ეთხოვოს მუშათა საბჭოს დაუთმოს თავისი ბინა. მესამე საკითხი, რომელიც დროშას ეხებოდა, მიიღო კრებამ, რომ ერთ დროულათ შეიკრიბოს ფული ნოქრებში დროშისათვის, და რაც მორჩება სხვა წვრიმალ ხარჯებისათვის გადაიდოს. კრებამ აირჩია განსაკუთრებითი კომისია ფულის მოსაგროვებლათ, რომელშიაც შედიან შემდეგი პირები: ნინა ასლანიძე, თომა ცხაკაია, ისხ. რიქინაშვილი და ი. ჭელიძე. კრებამ გამოთქვა სურვილი, რომ არსებული ნოქართა დამხმარე საზოგადოება, რომელიც ამ კავშირის შემდეგ არავითარ როლს აღარ ითამაშებს, მოწვეულ იქნას ხსენებული საზოგადოების საზოგადო კრება და მთელი თავისი სიმდიდრე გადაეცეს ახლად დაარსებულ კავშირს. ეს სურვილები გამოსთქვა ისეთმა პირებმა, რომლებიც წევრები არიან ნოქართა დამხმარე საზოგადოებისა, დაავალეს ამ ძველ საზოგადოების გამგეობის წევრს ი. ჭელიძეს, რათა კრება მალე იქნას მოწვეული. კრებამ გადასწყვიტა შეიკრიბოს ორშაბათობით.

ი. ხადემტროველი.

თფილისის ენფიანჯიანცის ქარხნის მუშები. ამ ქარხნის მუშები ორ რიგათ განიყოფებიან, ერთი რიგი მომხრეა 8 საათის მუშაობისა, მეორე კი 11 საათის. რა არის ამის მიზეზი? სიბნელე და უვიცობა. ვინ არ იცის, რომ ძველი მთავრობის დროს ყველგან მუშას დიდი ბრძოლა სჭირდებოდა ხაზეინებთან, ამ გზით მხოლოდ ცოტაოდნათ იმსუბუქებდენ მდგომარეობას, დღეს კი გამარჯვებული მუშები ისევ აპირებენ ძველებურათ ცხოვრებას. ასეთი მუშები გახლავან ის ვაჟბატონები და ყველა ამათ პირველი ადგილი უკავიათ ძველ რეაქციონერ მუშებს პარხომენკოს და ქ-ნ ბერიანიძეს. მათი სახე გამოაშკარავდა 17 აპრილს, როცა ქალაქის კომიტეტისაგან გაგზავნილმა ორატორმა საერთო კრებაზე იკითხა: ვინ ხართ 8 საათის მუშაობის მომხრე და ვინ ზედ მეტისო. ეს ვაჟბატონები მუშებს უყვიროდნენ: 8 საათის მუშაობაზე ხელი არ ასწიოთო; ხოლო 11 საათის შეკითხვაზე კი ყვიროდნენ: ასწიეთ ყველამ ხელიო. საკვირველია ამ რეაქციონერთა არა მკითხე ერთგულება. აკი თვით მწარმოებლებმა გადაწყვიტეს 8 საათის სამუშაო დღის შემოღება.

ნ. ნ. პატარა მუშა ქალი.

რევოლუცია პროვინციაში.

ოზურგეთი. 13 აპრილს აქ შესდგა ოზურგეთის მაზრის სახალხო მასწავლებელთა სამაზრო კრება.

მიიღეს შემდეგი დადგენილება: ოზურგეთის მაზრა დაყოფილ იქმნას, სამ ფილიალათ ოზურგეთის, ლანჩხუთის და ჩოხატაურის, თანახმად ადმინისტრატიული განყოფილებისა.

სწავლის შეწყვეტის შესახებ მიღებულ იქმნა რეზოლიუცია—შესწყდეს ის 10 აპრილიდან. კრებამ ერთხმად მიიღო აირჩეს სამაზრო საგამომძიებლო კომისია, რომელსაც დახმარებას გაუწევს ფილიალური განყოფილებების გამგეობა. დიდ გაკვირვებას იწვევს ბათუმის ოლქის მასწავლებლების საქციელი, რომელთაც საშუალო სკოლების მასწავლებელთან ერთად მესამე რაიონის ინსპექციის მასწავლებელთა ბედ-იღბალიც ხელში აუღია.

ბათუმის ოლქის მასწავლებლებს ინსპექცია რაღაც ნაციონალურ სარბიელათ გადაუქცევიათ და ამის და მიხედვით აურჩევიათ კომისარიატი 5 პირისაგან შემდგარი, ქართველი, რუსი, სომეხი, ბერძენი და ებრაელი.

კრებამ დაადგინა: მოეთხოვოს ქუთაისის საგ. ამისწავლო უწყების კომისარიატს დანიშნოს ერთი კომისარი 3 რაიონის ინსპექციაში, უკანონოთ იცნოს ბათუმის ოლქის მასწავლებელთა მოქმედება და მიიღოს საჭირო ზომები, რათა არ იქნეს უმრავლესობის ინტერესები შელახული უმცირესობისაგან.

საგამომძიებლო კომისიაში აირჩიეს: ამ. სამუელ ხონელიძე, ბარ. მენაბდე, ბაბილინა გურგენიძე და არსენ სულაძე.

დეზერტირთა კრება. 16 მარტს ქვემონის სკოლის შენობაში შესდგა ხიდისთავის რაიონის დეზერტირთა კრება. კრებას დაესწრენ ხიდისთავის აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელნი. თავმჯდომარეთ აირჩიეს ი. გოგიბერიძე, მდივნათ—მ. გოგიბერიძე. ორატორებმა აღნიშნეს მომენტის სიდიადე და ერთხმათ აღიარეს, რომ დღეს ჩვენ ვიცავთ არა ნიკოლოზ მეორეს ტახტს, არამედ მუშათა კლასისაგან და ძლევამოსილი არმიისაგან მოპოვებულ თავისუფლებასო. დღეს ჩვენც თავისუფლების მცველები ვართო—სთქვა ერთმა ორატორმა.

კრებამ იქონია მსჯელობა იმის შესახებ, თუ რაგვარი დეზერტირები უნდა წავიდეს ჯარში და გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია: ა) მილიციონერობა და ტყის მცველობა ვერავის ვერ იხსნის სამხედრო ბეგრისაგან, ბ) ვღებულობთ-რა მხედველობაში, რომ კოოპერატივებში, სასოფლო ბანკებში და სხვა სასოფლო დაწესებულებებში თავმოყრილი არიან მოწინავე ელემენტები საზოგადოებისა, ვსტოვებთ ყველას თავის ადგილზე, რათა ავრცელონ ხალხში რევოლიუციის იდეა და თუ მათ შორის იმყოფება არა სასურველი პიროვნება, მათი დაცვლის შესახებ წინადადება მიეცეს ადგილობრივ სოციალდემოკრატიულ ორგანიზაციებს და დრ. აღმ. კომიტეტებს, გ) ის მუშები, რომლებიც ფრონტისკენ, ან სამხედრო საჭიროებისათვის მუშაობენ—დატოვებული იქნებიან იქ და თუ რომელიმე მუშა ითვლება სამხედრო სამუშევარზე, ნამდვილად კი სახლში იმყოფება და იმალება, გამოძიების შემდეგ, გაგზავნილი იქნებიან ჯარში, დ) ყველა ის პირები, რომლებიც დღეს სარგებლობენ რაიმე შეღავათით, მაგალითად თეთრი თუ ლურჯი ბილეთებით და თუ ასეთი ბილეთები მათ მოუპოვებიათ ქრთამით, ან რაიმე არა სასურველი გზით, თანახმათ დროებითი რევოლიუციონური მთავრობის დადგენილებისა, გაგზავნილ იქმნას ჯარში.

დასასრულ კრებამ აირჩია კომისია, რომელიც მოაწესრიგებს საქმეს და დეზერტირები დანიშნულ დროისათვის დაბრუნდებიან ჯარში.

მოვუწოდებთ ყველა დეზერტირებს ყურადღება მიაქციონ ხიდისთავის რაიონის დეზერტირების მაგალითს და მოაწესრიგონ ჯარში წასვლის საქმე.

დეზერტირთა კომისია მოაგონებს ზოგიერთ ბნელ პირებს, ნუ სცდილობენ წყლის ამღვრევას და შიგ თევზის ჭერას, თორემ ისინი ალაგმულნი იქნებიან და შესაფერისათ დასჯილნი.

მონ. კრების მდივანი **მოსე გოგიბერიძე.**

P. S. ვთხოვთ ყველა რუსულ ქართულ გაზეთებს გადაბეჭდონ ეს წერილი. **მ. გ.**

სოფ. ჯუმათი. (გურია). აპრილის 16 მოხდა ადგილობრივ საზოგადოების საერთო კრება განურჩევლად სქესისა. კრებას დაესწრო 800 ქალი და კაცი. თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეულ იქნა ა. ურატაძე, მდივნად ბ. ქურიძე. თავმჯდომარემ აუხსნა ხალხს დღევანდელი მომენტის მნიშვნელობა და მოუწოდა მათ დაიცვან სრული წესიერება. ფარული კენჭის ყრით არჩეულ იქნენ კომისრად ბ. მითაიშვილი, მდივნად ბ. ქურიძე; არჩეულ იქნენ მსაჯულები და ფულის ამკრეფნი, რის შემდეგ კრება დაიშალა.

საგურამოს რაიონი. (დუშეთის მაზრა). საგურამოს რაიონის თითქმის ყველა სოფლებში კვირაზე მეტი იქნება, რაც გლეხთა საბჭოების არჩევნები დამთავრდა. არჩევნების დროს ხალხს უხსნიდნენ საბჭოების მნიშვნელობას და დღევანდელ ვითარებას მომენტზე.

რაკი საბჭოების არჩევნები დამთავრდა ამ რაიონის სოფლებისა, 12 აპრილს სასოფლო სამართველოში, სოფ. ნავდარაანთკარში, დანიშნული იყო საგურამოს რაიონის გლეხთა საბჭოების ყველა წარმომადგენელთა შეერთებული კრება. სარაიონო კრებას დაესწრო თითქმის ყველა სოფლის წარმომადგენელნი, რიცხვით სულ 46 კაცი. კრებამ აირჩია რაიონის კომისარი და მისი თანაშემწე, სარაიონო სამართველო გადატანილ იქმნეს სოფ. გალავანში (ბოკოწინში), როგორც მთელი რაიონის შუა ადგილზე, მიენდო ეს კომისარს, დაიქირაონ ჯირხნობით ოთხი მილიციონერი მთელი რაიონისთვის, დაიქირაონ მდივანი, მაგრამ ვიდრე შესაფერის მდივანს იშოვნიდენ რაიონისათვის, დროებით მდივნობა იკისრა თვით კომისარმავე; გადასწყვიტეს ანგარიში ჩამოერთოს ძველ ნამამასახლისარს და მასთან ინვენტარი სამართველოში, მიენდო ეს სისრულეში მოიყვანოს კომისარმა; დაუყონებლივ ჩამოერთოთ იარაღი მავნე პირებს; აგრარული საკითხის შესახებ გადასწყვიტეს სარაიონო კომისარმა მიმართოს საგუბერნიო კომისარიატს, როგორ მოიქცნენ ამ ჟამათ სოფლათ; სასურსათო კომიტეტი აირჩიეს 7 კაცისაგან, რომელთა რიცხვშიაც შედიან კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენლები და წარმომადგენელნი სოფლის საზოგადოებისა; დამნაშავეთა გასამართლების დროს ყურადღება მიექცა ზნეობრივ სასჯელებს, ზოგიერთ შემთხვევაში მიმართონ ფულით დაჯარიმებას, გადახდევინებული ფული კი მოხმარდეთ ქვრივ-ობლებს და ღარიბებს.

კრება ამით დასრულდა. არ გასულიყო რამდენიმე წუთი, რომ თავმჯდომარემ კრებას მოახსენა ფრიად საინტერესო საკითხი გასარჩევათ ქალის მოტაცების შესახებ, რაიც მომხდარა სოფ. გურამიანთ-კარში.

ხალხი რადგან დაღლილი იყო, თავიანთ შორის ამოირჩიეს 7-დი კაცი და ამათ მიანდეს ქალის გატაცების საქმის გარჩევა. საქმე გაარჩიეს. ქალის გამტაცებელს დააკისრეს 40 მან. გადაეხადნა ქალის მამის სასარგებლოთ (ქალის გატაცება ვერ მოესწროთ, რადგან გზაში დაბრკოლებები შეხვედროდათ). მეორე დამნაშავეს დააკისრეს 20 მან. გადახდევინება ობლების სასარგებლოთ; მესამეს მიუსაჯეს 20 დღის მუშაობა სასოფლო ბეგარაზე და მეოთხესაც ასეთივე სასჯელი, მხოლოდ 10 დღით მუშაობა. ასეთი გასამართლებით ხალხი კმაყოფილნი დარჩნენ. ხალხი დაიშალა. ამ რამდენიმე დღეში სოფ. ზაქარიაში გლეხკაცს მოუპარნია მეზობლისთვის ერთი ბოთლი არაყი, დამნაშავე აღმოუჩენიათ, ცალი ულვაში ჩამოუპარსნიათ და ისე გაუშვიათ. დამნაშავე ამდგარა და მეორე ულვაში კიდე თვითონ ჩამოუპარსნია და ტყეში გაქცეულა, ხალხისთვის მიუძახებია: ტყეში ვიმუშავებ, ვიდრე ორივე ულვაშები ამომივაო. ზნეობრივ სასჯელებს თავისი ზომა უნდა ჰქონდეს და დიდი დაკვირვებაც უნდა ამ დროს სოფლის საბჭოთა წევრებს.

სოფლელი ამხანაგი.

ქალაქთა კავშირის მოღვაწეობა თფილ. ლაზარეთებში.

თფილისის ლაზარეთებს ხელმძღვანელობს ხმოსნებისაგან შემდგარი კომიტეტი, მარა ის თავის მოქმედებით არა თუ სპობს, პირიქით, თავის წმინდა ბიუროკრატიული მოქმედებით ხელს უწყობს და აფართოებს უწესოებას.

რომ ნათელი წარმოდგენა იქონიოს მკითხველმა მოვიყვან რამოდენიმე მაგალითს ლაზარეთების ცხოვრებიდან: 1) განმანაწილებელი პუნქტის ცნობილი გმირი, ბატონი მინასიანცი, თავის აგენტებით აწარმოებდენ ხორცის და სხვა მრავალ ქურდობას, რაიც გამოაშკარავა კონტროლიორმა მ—კიმ, მაგრამ კომიტეტმა ბ-ნ არღუთინსკის თავმჯდომარეობით, არამც თუ მოინდომა ბოროტების აღმოჩენა, პირიქით, აშკარა დამცველათ გამოვიდა და ბურუსში გახვია ეს საქმე.

2) 23 ლაზარეთში რამოდენიმე ათეული ვედრო სპირტი გამოიტანეს ზოგიერთმა მოსამსახურეებმა ლაზარეთის ანგარიშზე და უფროსი ექიმის სახელით ყალბ დოკუმენტებს ადგენდენ, კომიტეტმა პასუხის გებაში არ მისცა დამნაშავენი; ის მათი სხვა ადგილზე გადაყვანით დაკმაყოფილდა.

3) თვით კომიტეტის კანცელარიაში მომუშავე საქმის მწარმოებელმა ბ-ტ-მა მას—მა აილო აგენტის საშუალებით დაავათმყოფებულ მეომართა ტანსაცმელის „ფოდრათი", მოახვია ლაზარეთებს თავზე ყოვლათ უვარგისი საქონელი და თვითონ ათი-ათასობით ჩაიჯიბა; (ამას ზოგი ზედამხედველებიც ჩადიოდენ). ეს აშკარა ფაქტი იყო, რომელსაც კომიტეტის კანტროლი ამტკიცებს, მაგრამ ეს საქმეც მიფუჩეჩდა და ვინ იცის დღეს დამნაშავეები ერთობის კაცებათ ასაღებენ თავს.

ყველა ასეთების დანახვამ და გაგონებამ შექმნა ისეთი შეხედულობა მოსამსახურეთა ერთ ნაწილში, რომ წაგლეჯა და მითვისება აშკარათ წარმოებს და ბევრი აქამდი დაუჩვევი უფსკრულში გადაჩეხა. ასეთი ბოროტება მით უფრო გაძლიერდა, არც ერთი მნიშვნელოვანი საქმე კანტროლის შემდეგ არ მისულა თავის დასკვნამდე, პირიქით, იმ აუარებელ ოქმების შედგენის შემდეგ, რომლებიც ყოველ დღე იწერებოდა, ბოლოს სისრულეში არც ერთი არ მოდიოდა, მხოლოდ ხანდახან დამნაშავე ერთი ალაგიდან მეორე, უკეთეს ალაგზე გადაჰყავდათ, ეს მოვლენა კი თავისთავათ ხელს უწყობდა და უწყობს ბოროტმოქმედებას.

ამ არა სასურველ მოვლენას დიდი ნიადაგი ქონდა ძველი წყობილების დროს, მაგრამ დღეს, როდესაც შეიძლება გამოაშკარავდეს იმ პირთა საქმიანობა, რომლებიც ახლაც სათავეში უდგიან საქმეს და ვინ იცის იქნებ ქალაქის თვითმართველობის მომავალ არჩევნებში კიდევ მოინდომონ ყუთების დადგმა, ჩემის ფიქრით სასურველია გამოძიებულ იქნას ლაზარეთების გარშემო ხალხის ქონების გაფლანგვის ფაქტები და კვლავ აღარ მიენდოს საქმე ასეთებს.

ამასთანავე საჭიროა მიექცეს ყურადღება ზოგიერთ ექიმების საქციელს, რომლებიც ლაზარეთში მუშაობის დროს ტოვებენ თავის საქმეებს, მიდიან გასართობათ და ამ დროს ავათმყოფები რჩებიან უპატრონოთ და თახაც უექიმოთ იხოცებიან.

ა. რ—ლი.

ამხანაგების საყურადღებოთ.

(ა. ქაჯაიას „გამოსვლის" გამო)

გაზეთ „ზვირთის" № 80 ში მოთავსებულია აქვს. (ბიჭიკო) ქაჯაიას წერილი,—„ჩემი ახსარება", სადაც იგი „იწუნებს" ეროვნულ საკითხის მარქსისტული თვალსაზრისით ღასმას; აქ მას თავი გამოყავს ყოფილ, მებრძოლ სოციალდემოკრატათ და შემდეგ ასკვნის,—„მირჩევნია თავისუფალი საქართველოს გულისათვის ვეწამო, ვიტანჯო, ვიდრე არხეინად(?) სოციალდემოკრატიულ პარტიაში ვიმყოფებოდე(?) დეე მეც გავიზიარო ტანჯვა ხალხისა(?), რომელსაც **მიზნათ საქართველოს კეთილდღეობა დაუსახავს**" ო.*) მკითხველი ამხანაგები ალბათ იფიქრებენ—„ესეც ახალი რენეგატიო" და აი, რომ ეს შემცდარი აზრი თავიდან აცილებულ იქნას, საჭიროთ მიმაჩნია განვაცხადო: ა. ქაჯაია არას დროს არ ყოფილა სოციალდემოკრატი; არასდროს არსად მის დასაცავად მას ენა არ დაუძრავს, (არც შეეძლო ეს მას). სახალხო სახლში პირველ დამფუძნებელ სოციალდემოკრატიულ კრებაზე იგი მოგვიანებით მოვიდა შემთხვევით; მას უნდოდა ერთი კრების მონაწილის ნახვა; რადგან მას ისე შესვლა არ შეეძლო, იყიდა კარებში პარტიის წევრობის ბილეთი, რომლის „რეკომენდაცია" მე გაუკეთე, რადგან არ მეგონა, თუ ბოროტათ გამოიყენებდა. ამის შემდეგ მხოლოდ რამდენიმე დღე გავიდა და ჩვენ ვხედავთ მის „აღსარებას", ჯერ „სახალხო ფურცელში", შემდეგ იქიდან დიდი ზეიმით გადმობეჭდილს „ზვირთში". ვის რათ „აწუხებდა", ღირდა მაზე ამდენი ყურადღების შეჩერება?

ხევასტი თალაკვაძე.

გაზეთის სასარგებლოთ.

ამხანაგებო! დღეს ყოველი სტრიქონი ძვირფასია გაზეთში, მიმდინარე ამბების გაშუქება პირველი საქმეა. ამიტომ ბოდიშს ვიხდით შემომწირველების წინაშე, რომ მათ სახელს და გვარს ვერ ვაცხადებთ. სრული დარწმუნებული ვართ, რომ ამხანაგები თავიანთ წვლილს იღებენ არა იმიტომ, რომ მათი სახელი და გვარი დაიბეჭდოს გაზეთში, არამედ მუშათა საერთო საქმისადმი ხელის შესაწყობათ.

1) ს. ირემაშვილისაგან ს. მცხეთიდან მივიღეთ 604 ქვეითა დრუჟინის ქართველ სალდათთა შორის შეგროვილი 8 მ. 20 კ.

2) ჯ. კ. მაკ გაბუნიასაგან მივიღეთ მე-12 საარტ. პოლკის სალდათებში შეგროვილი 14 მანეთი 70 კ.

3) თფ. სადგურის ბუფეტის მოსამსახურეთაგან 47 მანეთი.

4) ომიაძის წყლისაყვან ქარხნის მუშებისაგან 33 მ.

5) კირილე ტკეციშვილის მიერ შეგროვილი 10 მანეთი.

6) ემელიანე ლომთათიძისაგან მივიღეთ ტრაპიზონის ამხანაგ თანამოაზრეთა შორის შეკრებილი 598 მან. 50 კ., რომელიც უნდა გადაეცეს ს. დ. საოლქო კომიტეტს.

7) ალექსანდრე გ—ასაგან მივიღეთ ნათლის მცემლის კუთხეში შეგროვილი 60 მან. 90 კაპ. აქედან სამ სამი თვით ჯარისკაცებს ფრონტზე უნდა ეგზავნოთ „ერთობა" და „სოციალდემოკრატი" (8 მ. 40 კ.), 10 მან. უნდა გადაეცეს პოლიტიკურთა ფონდს 42 მ. 50 კ. პეტროგრადში დახოცილთა ოჯახებს.

8) მივიღეთ ტარასი ურუშაძისაგან მე-10 უმავთულო ტელ. დივ. სალდათთა შორის შეგროვილი 22 მ., რომელიც უნდა გადაეცეს თფილისის მუშათა საბჭოს.

9) მივიღეთ კიმოთე შუბლაძისაგან 95 მ. 75 კ., რომელიც შეგროვილია კავკას. ფრონტზე მყოფ მე 17 დამატებითი ტრანსპორტის სალდათთა ერთ ჯგუფში. ფული უნდა გადაეცეს პეტროგრადის ქუჩებში დახოცილთა ოჯახებს.

---

*) კურსივი ჩვენია.

რედ.-გამომცემელი ვლ. მ. ბოხოხაძე.

იყიდება სამგზავრო ეტლები:
4, 6, 8 და 10 ალაგიანი;
დახერხილი ტყის ფიჭვის მასალა და საკომისიოთ დატოვილი ავეჯეულობა.
მოსკოვის შრომის არტელი, კიროჩნი ქ. № 17.

მიღებულია ფრანგული აგრეშუმის
თესლი ცნობილი ფირმის ბერტესი
საკუთარ შეკვეთის თანახმათ
ოთხკუთხ კოლოფებში
ფრანგული სამფეროვანი დროშით და შავი არწივით ყვითელ ფონზე.
მიმართეთ ტ. ს. მირზაიანცს: თფილისი განოვის ქ. № 8.
ტელეფონი 13—58.
დეპოშის ადრესი: ტიგრან მირზაიანცს თფილისში. 10—8

1 მაისიდან გამოვა ყოველ კვირეული სამხატვრო სალიტერატურო ჟურნალი
სხივი
ჟურნალში მოთავსებული იქნება მხოლოდ მოთხრობები პიესები, ლექსები, ბიოგრაფიები და კრიტიკული წერილები.

მონაწილეობას მიიღებენ: ს. აბაშელი, ვ. ბაქრაძე, პ. ირეთელი, იასამანი, ლალიონი, მალაქიაშვილი, ლ. ნათაძე, ი. ნიკოლაიშვილი, ლ. ქიაჩელი, ვ. ქუჩიშვილი, ს. რემონიძე, ვ. რუხაძე, ტ. რამიშვილი, ნ. ზომლეთელი, ნ. ჩხიკვაძე, ი. სიხარულიძე, ობოლი მუშა და სხვ.

ჟურნალში მოთავსებული იქნება თანამედროვე მოღვაწეთა სურათები და მოკლე ბიოგრაფია.

წლიურათ ეღირება—10 მ., ნახევარი წლით—6 მ., ერთი თვით—1 მ., თითო ნომერი—20 კაპ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ почтовый ящикъ № 96. С. Р. Таварткиладзе. თანამშრომლებს აუცილებლათ მიეცემა სასყიდელი.

რედაქტორები: პ. ირეთელი და ვ. რუხაძე. გამომცემელი კანტ. „განათლება".

სწრაფ-მბეჭდავი სტამბა, რუსთაველის გამზირის შესახვევი.